



# სახალხო გვარდიული

№ 3

სახალხო გვარდიის მეთავარი უჭაგის ორგანო.

№ 3

ევროპის მუშათა სოციალისტური დელეგაცია.



სხედან მარჯვნივ: 1) პ. რენოდელი, (საფრანგეთი), 2) ქ-ნი ჰიუსმანსი, 3) ტ. შოუ (ინგლისი), 4) ე. სნოუდენი (ინგლისი), 5) ა. მარკე (საფრანგეთი) 6) ქ-ნი ჰიუსმანსი, 7) ჯ. ინგელსი (საფრანგეთი).  
დგანან: 1) ოლბერგი, 2) დე-ბრიუკერი (ბელგია) 3) ე. ვანდერველდე (ბელგია) 4) რ. მაკდონალდი 5) ქ-ნი ვანდერველდე (ბელგია) 6) ჰიუსმანსი (ბელგია).

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

F/L 11611

### ოპი თუ ზაკი?

გამოურკვეველი მდგომარეობა ისევ გრძელდება. საქართველოს ხალხის ყურადღება ისევ გარეშე საფრთხისაკენაა მიქცეული. ამიერკავკასიის გამწვავებულმა საომარმა პირობებმა დიდხანა ჩვენი ქვეყანა სამხედრო სამზადისის წინაშე დააყენა და ხალხის ენერჯია, მისი ნივთიერი კეთილდღეობა ფრონტს და თავდაცვას ეწირება.

საქართველოს ჯარი და სახალხო გვარდია იარაღით ხელში თავის ქვეყნის, თავისუფლების დასაცველად რამოდენიმე თვეა რაც ფრონტზე სდგას მოვალეობის მოსახდელად.

სომხეთის რესპუბლიკის დანგრევის შემდეგ საქართველოსათვის ბუნებრივად დადგა თავდაცვისათვის სამხედრო ხანა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ წინდაწინ მიიღო თაღარიგი, მზადება მოსლოდნელ თავდასხმის ასაშორებლად და ამავე დროს შეეცადა ყოველგვარ სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით დამთავრებას.

მისი ბრძნული პოლიტიკა და მუდამ მოთხოვნილება იყო და არის მშვიდობიანობა.

შეთანხმება, კეთილი მეზობლობა და მეზობელთა შორის უდანაშაულო სისხლის ღვრის თავიდან აცილება...

საქართველოს მშრომელი ხალხი არასდროს არ ყოფილა ომის მოტრფიალე. მას ეჭირა ხელში და უჭირავს ძმობის, თანასწორობის და ზავის დროშა.

პირველი მისი სიტყვა მუდმივ იყო კეთილშობილური გრძობით სავსე, გულწრფელი ყველა ერების მიმართ.

გაუბრბოდა ომს, სძაგდა ის, რადგანაც მუშათა კლასის საზოგადოებრივ განვითარებას სრულიად ეწინააღმდეგება ომის ბარბაროსობის მიღება, და თუ ის მაინც დებულობდა ომს, ეს იმ დროს, როცა ომი ფაქტი ხდებოდა და ბრძოლა აუცილებელი...

საქართველოს თანამედროვე ოთხი წლის რევოლუციონურ მოძრაობას ახასიათებს თავისი დაცვის, არსებობის, მუშათა კლასის მომავლის ინტერესები.

მისი იარაღი ამას ემსახურებოდა და უკანასკნელი მდგომარეობა კი, რომელშიაც მოქცეულია საქართველოს ხალხი—ძველის გაგრძელება, ე. ი. საქართველოს ხალხის თვით გამორკვევისადმი მტრობა.

იყო ომები და არის ისევ ფრონტი და მზადება თავდაცვისათვის...

იყო და არის ჩვენი ხალხისათვის საზრუნავი თავდაცვა.

გარეშე ამისა ჩვენმა ხალხმა ომი არ იცის და არც ეცოდინება.

და დღეს კი მძიმეა გამოურკვევლობა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა ჩვენში, ჩვენი ერის და მშრომელი ხალხის მიმართ ისევ ბუნდოვანია.

ჩვენმა ხალხმა მიაღწია გასულ წელს საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებას, მოსკოვის ზავს, მაგრამ ომი დაიწყო ადერბეიჯანიდან „ადერბეიჯანთან“.

გაურკვეველი დარჩა—სად იწყებოდა ზავი და სად თავდებოდა ომი...

საქართველოს მშრომელი ხალხის თვითგამორკვევას მაშინ საფრთხე დაატყდა თავს საბჭოთა რუსეთიდან, რომელმაც 1917 წელს 25 ოქტომბრის გადატრიალებისთანავე პირველადვე განსაკუთრებული მანიფესტით აუწყა მსოფლიო მშრომელ ხალხს ერების განთავისუფლება, მათი ნაცონალური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ისტორიამ იცის, თუ როგორ აასრულეს ეს ბოლშევიკებმა.

იყო სიტყვა სამართლიანი, თავდაქერილი, უფლებიანი...

იყო საქმე უსამართლო...

თანამედროვე ამბებიც ამ საქმის განვითარებაა...

ევროპის მუშებმა, ქვეყანამ, მსოფლიოს ხალხმა იცის, რომ საქართველოს წესწყობილება ხალხურია, მშრომელი ხალხი ბატონობს საქართველოში...

საქართველო განსხვავდება ყველა ქვეყნის წესწყობილებიდან და მისი ბრძოლა არაა მარტო საკუთარი, მარტო ქართველური, არამედ მისი მოძრაობა იყო და არის მშრომელი ხალხის მოძრაობა, ბრძოლა საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესებისათვის, საუკეთესო მომავლისათვის და ამ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა იყო და იქნება თავდასხმა საერთაშორისო მუშათა კლასზე.

ჩვენში არ ყოფილა და არცაა მუსავატი—და დაშნაკუთიუნისებური მთავრობა აქ ბატონობს დემოკრატია, არის დემოკრატიული სახელმწიფო სოც.-დემოკრატიული მთავრობით, მთელი ხალხის მიერ არჩეულით.

თავდასხმა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ იქნება საერთაშორისო მუშა ხალხის წინააღმდეგ მიმართული, და ის, ვინც ამას ჩაიდენს, ცხადია, მტერია მშრომელი ხალხის მოლიანობისა.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა იცო-

და, იცის ეს და ამიტომ მოსკოლი იარაღს ხელი. მას უყვარს მშვიდობიანობა. იცის სიყვარული მეზობელ მშრომელი ხალხისადმი, არ უნდა ძმათა შორის ბრძოლა, სისხლის ღვრა, მაგრამ იძულებულია ყველაფერი ეგ მიიღოს, რადგანაც მის საკუთარს საქმეს, მის ბინას და ქვეყნის საერთო მომავალს განსაცდელი მოეწილი...

ჩვენს ხალხს ესმის იარაღით გამოსვლის მიზანი და მისი ბრძოლა თავგანწირული იყო და იქნება.

მან იცის პატივისცემა და მორიდება მეზობელ ხალხის. სხვისი უფლების და ამავე დროს, ის მოითხოვს პატივი სცენ მის უფლებას, მის ინტერესებს. მის ქვეყანას და გაიგონ მშრომელი ხალხის მოთხოვნილება, მისი გამორკვევა...

იყო და არის ჩვენი მშრომელი ხალხის მიერ პატივისცემა და დახმარება სხვებისადმი. არის უზატივცემლობა, ჩვენი ინტერესების შელახვა, დაცინვა სხვების მიერ...

ასე იყო და ასე არ უნდა დარჩეს მომავალში.

დღევანდელი საომარი მდგომარეობა თვით ომზე, სისხლის ღვრაზე უარესია.

ასეთი პირობების გაგრძელება შეუძლებელია.

ან ომი უნდა იყოს, ან ზავი.

შუაზე დგომა დიდხანს არ შეიძლება. ჩვენი ქვეყნისათვის დღეს არც ზავია, მხოლოდ არც შეტაკებებია...

სამაგიეროთ მოწინააღმდეგეთა მიერ ჩვენი ერის, ხალხის, მუშების და ქვეყნის თანამედროვე ინტერესები შელახულია და მისი მომავალი ბურჟუსითაა გარემოცული...

ამას არ მოველოდით და არც ადვილი უნდა ჰქონოდა.

ხალხმა გასულ წელს მოისმინა ერთი: **საბჭოთა რუსეთთან ზავი.**

ამ ისტორიულმა ამბავმა გამოიწვია საქართველოს მშრომელ ხალხში სიხარული და მისი თანაგრძობა გაიზარდა რუსეთის მიმართ, რადგანაც მოსკოვმა სიტყვა საქართველოს მშრომელი ხალხის უფლების შესახებ.

ისტორიულ აქტს მოჰყვა ომი „წითელ ადერბეიჯანის“ სახით და ამან შექმნა ეჭვები, უნდობლობა, და ეს მდგომარეობა დღესაც გრძელდება, დღესაც ჩვენი ხალხის გულში ცხოვრობს.

როგორც სხვა ქვეყნების მიმართ, ისე რუსეთთან ჩვენი მთავრ ომის და ხალხის პოლიტიკა მშვიდობიანობის გამტკიცებას

სახალხო გვარდიის მთავარი მტაბის წევრები.



1) ს. გლაზოიანი, 2) ნ. კახიანი, 3) მ. ძამანაშვილი.



სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა პირველი ყრალობა.

ემსახურებოდა და ამან კი მიიღო გარეგნულად მოსკოვის ზავის სახე, შიგნით, შინაარსით მდგომარეობა დარჩა ძველებური, მტრული, ეჭვებით სავსე, გაუტანელი...

ის მუშაობა, რომელიც ჩვენში იყო და არის ბოლშევიკების მიერ, თავის თავად ცხადია, მიმართულია არა მშვიდობიანობისაკენ, არამედ ომისაკენ და ეს იმ დროს, როცა, საქართველოს მოშათა კლასში დიდხანია ჩამოყალიბდა **სხვებისადმი პატივისცემა, ნდობა და სიყვარული.**

ბოლშევიკებმა დაარღვიეს მოსკოვის, აქსტაფის, თფილისის ხელშეკრულებანი, ბაქოში შეაჩერეს ჩვენი ვაგონები, ორთქლმავალები, ჩვენი მუშები, რომლებიც ხელშეკრულების ძალით ნავთის და

სხვა მასალებისათვის იყვნენ გაგზავნილნი. ამით ისინი ფიქრობენ ბაქო მოსწყვიტონ და საფრთხეში ჩააგდონ საქართველოს ხალხი და მისი მომავალი.

ხელშეკრულების ამ სახით დარღვევა, არც ერთ ხანას არ ახსოვს და არც ერთ ეპოქის ისტორიაში არ ყოფილა.

ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო სახელმწიფოს ომს უცხადებდა...

ბოლშევიკებმა საპასუხო განმარტებაში, როცა ჩვენმა მთავრობამ პროტესტი განაცხადა, წაჰოაყენეს ბრალდება — კომუნისტების დევნა საქართველოში.

ეს კითხვა სერიოზულად დაისვა ჩვენი ქვეყნის წინაშე. მოსკოვის ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო საქართველოში

კომუნისტების ლეგალიზაციის შესახებ. ამავე დროს ხელშეკრულებას ახლდა პარაგრაფი, რომლის ძალით რუსეთს არ უნდა დაეშვა საქართველოს საწინააღმდეგო ჯგუფების მოქმედება თავის ტერიტორიაზე და საქართველოს რუსეთის მოწინააღმდეგეთა.

ეს მთავარი დებულება გულისხმობდა საქართველოს სუვერენობას, მის პოლიტიკურ წყობილების, საქართველოს მშრომელი ხალხის უფლების ცნობას რუსეთისაგან.

სინამდვილეში სულ სხვა შედეგი მივიღეთ. კომუნისტებმა ლეგალიზაცია, ხელშეუხლებლობა გამოიყენეს, და მიზნად დაისახეს საქართველოს ხალხის საოკადაქო ომში გახვევა, მისი წესწყობილ-



ბის დაცემა და დამოუკიდებლობის მოსპობა...

ნაცვლად ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანობის შემოტანისა, შემოიტანეს შფოთი და კიდევ უფრო გააწვავეს თანამედროვე დახლართული მდგომარეობა.

მათი ამ მხრით პრეტენზიები სრულიად უსაფუძვლოა, უსამართლოა.

ჩვენს წინაშე არის ურიცხვი ფაქტები რუსეთის ისტორიიდან, რომლებიც ნათელს ჰყოფენ ბოლშევიკების უსასტიკეს ზომებს მათ წინამძღვრებულ ვინც კი გაბედა ბოლშევიკურ წესწყობილების წინააღმდეგ ხმის ამოღება.

ბოლშევიკური რუსეთი ცნობილია დახვრეტივით. ჩვენში მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონიათ, აქ ციხით და გადასახლებით თავდება ყვეოფერი. და ეს იმიტომ, რომ ჩვენი მთავრობა ისეთ ზომებს არ მიმართავს, რომელიც ეწინააღმდეგება დემოკრატიის მაღალ ტრადიციებს. და ეს იმ დროს, როცა ადგილობრივი ბოლშევიკები და გარეშეები ყოველგვარ ზომებს ხმარობენ ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენს ქვეყანაში მეგობრებს მეგობრულად დებულობენ და მიიღებენ, მხოლოდ მტრების ოჯახში მოყვანა და შინაურ მოწინააღმდეგეთა მოქმედების წინაშე გულზე ხელდაკრებილი ყურება, ეს სწორედ დაუშვებელი ლაოატი იქნებოდა იმ საქმის, რისთვისაც სისხლი დაღვარა საქართველოს მშრომელმა ხალხმა.

ისეთი ამბები, რაც არც ერთ ისტორიას არ ახსოვს და მოხდა ჩვენს მახლობელ დანგრეულ ქვეყნებში, ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია და არც მოხდება.

საქართველოში მუშა ხალხისათვის მიუღებელია თანამედროვე მდგომარეობის გამწვავება გარეშე პირობებით, გარეშე ძალით და ძალდატანებით, რომელიც ძირს უთხრის ხალხის კეთილდღეობას და აგრეთვე ამერკავკასიის ხალხთა ტრადიციას ახანგრძლივებს.

წინდაწინ შეუძლებელია თქმა იმისი, თუ ვინ ვის დაამარცხებს, მხოლოდ ერთი აშკარაა, როგორც რუსეთის, ისე კავკასიის მშრომელი ხალხი იღუპება, სისხლიდან იცლება და მოწინააღმდეგეთა უაზრო ომი, ომი უმიზნო სპობს მხოლოდ მუშათა კლასის ფიზიკურ არსებობას, მათ ოჯახს, აუარესებს მუშების ისედაც დაცემულ ნივთიერ მდგომარეობას, კრიზისებს, შიმშილს, უბედურებას.

ეს ომის კანონია, ასეთია მისი მწვავე შედეგები და ბოლშევიკური მოძრაობა,

რომელიც ლაშობს გარედან შემოიჭრას ჩვენში ომით, ცხადი და ნათელი იყო და არის ჩვენი მუშებისათვის, რომ ხელს უწყობს იმ საშინელ ტკივილების გაძლიერებას, რომლებიც მოჰყვა მსოფლიო და სამოქალაქო ომებს.

საქართველოს ხალხმა თავის მოძრაობით გამოარკვია თავისი პოზიცია მიმდინარე ეპოქაში და ამ პოზიციის შეცვლა გარეშეპირობებით, შტიკით, იქნება ხალხის ნების შელახვა, მისი პოლიტიკური, სოციალისტური, მოძრაობის გათელვა, და და ამის უფლებას არავის მისცემენ—ნებით.

უკანასკნელ პრეტენზიებში აგრეთვე შეტანილია „ახალ ერევანიდან“ ნეიტრალური ზონის საკითხიც.

1918 წელს, დეკემბერში, შემოდგა თუ არა ფეხი საქართველოში ევროპის გამარჯვებულმა იმპერიალიზმმა, მაშინვე იმითგათამამებული დაშნაკუთიუნის პარტიის მთავრობა თავს დაესხა ჩუმად საქართველოს ხალხს.

დღეს, როცა ამერკავკასიაში მდგომარეობა გაწვავებულია, ისევ გარეშე ძალებით, დაშნაკუთიუნის ნაცვლად, „წითელი“ ერევანი ძველ საკითხს აყენებს.

ჩვენი ხალხის და მთავრობის მისწრაფება მაშინ და ეხლაც იყო და არის მორიგება.

ისტორიამ და კაცობრიობამ კარგათ იკის, რომ საქართველოს ხალხი არავის თავს არ დასხმია, არც დაესხმის და უნდა სხვისი ქვეყნის ნორმალური განვითარება, წინსვლა, რადგანც ეს იმავე დროს საუკეთესო თავივებია თვით საქართველოს აღორძინებისათვის და საქ. მშრომელი ხალხის გამარჯვებისთვის.

და როდესაც თანამედროვე დავა და პრეტენზიები გვესმის, ჩვენს ხალხს არ შეუძლია ფრთხილად არ იყოს და თავის სასიცოცხლო კითხვას გადაჭრილი პასუხი არ გასცეს.

ბრძოლა, ომი, დანგრევა, პატარა ხალხზე თავდასხმა ადგილი საქმეა, მხოლოდ დახმარება, თანაგრძობა და მისი ინტერესების დაცვა კი ძნელია...

პირველი გზა რომელიც მიღებულია ბოლშევიკებისაგან, სახიფათოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ კიდევ უფრო მეტად იმათთვის, ვინც ამ გზაზე შესდგა და მიდის.

მათ წინამძღვრ საზოგადოებრივი აზრის ამხედრება, ხალხის აღშფოთება, ვინც ამგვარ პოლიტიკას აწარმოებს, უფრო ძლიერდება.

ბაქოს საკითხიც ამგვარ ენაობის მოიღებს.

დღეს, როდესაც ბაქოს შეუძლია დააკმაყოფილოს ქვეყნის უდიდესი ნაწილის მოთხოვნილება, ბაქოს ირგვლივ კრიზისია, არაა ნათელი და სხვა მასალები... არ არის, რადგანც ამ გზით, ამ საშუალებით ცდილობენ თავიანთი აზრის, ბრძანების, ბატონობის განმტკიცებას. ეს კი უმთავრესად თავს ატყდება გაქვივებულ მშრომელ ხალხს და ამას სჩადიან ბოლშევიკები.

ეს არის ხალხის ზურგზე საბედისწერო თამაში.

იტანჯება ხალხი, და მტანჯველნი ბოლშევიკების სახით ხალხის დამცველის სახელით გამოდიან.

ეს მდგომარეობა ამერკავკასიის ხალხში და ჩვენში შესაფერ უნდობლობას იწვევს ძალადობის მიმართ.

ხალხს, რომელიც ეძებს მშვიდობიანობას, ომს ახვევენ თავს. ხალხს, რომელიც ეძებს პურს და სათბობ მასალას, პურს ართმევენ და ნავთს უსპობენ...

ჩვენი ქვეყანაც ასეთ პირობებში სურთ ჩააყენონ. მის წინ კითხვა სდგას მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ამისათვის იბრძოლა, მოელოდა საქმს გამოსწორებას, მხოლოდ ამის წინამძღვრ გაილაქრეს ბოლშევიკებმა.

ჩვენ შორს ვართ იმპერიალისტურ ზრახვებიდან, მაგრამ შორს ვართ ამავე დროს გარეშე იმპერიალისტურ მოძრაობის მიღების აზრისაგან.

თანამედროვე ომის და ფრონტის პირობები ჩვენი ქვეყნისათვის გარეშე ძალამ, ბოლშევიკებმა შექმნეს და მათვე ეკუთვნის სიტყვა, სურთ დაიღვაროს უდანაშაულო სისხლი მშრომელი ხალხის, თუ მშვიდობიანი გზით მოხდეს ჩვენ შორის სადაო საკითხების გადაწყვეტა, პატარა ხალხის სამართლიანი დაცვა და მისი მშრომელი მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამ ორში ასარჩევია ერთი...

პირველი გამოიწვევს შესაფერ შედეგს და ხალხის დასერილ სხეულის კიდევ უფრო დაწყლულებას და მტრობას მოძმე მეზობელ ხალხისადმი, მეორე კი სიხარულს, სიყვარულს, მშვიდობიანობას, შრომის და ძმობის დღესასწაულს...

ჩვენი მიზანია მეორე...

ვინც ჩვენთან მოვა ძმობის, სიყვარულის და დახმარების დროშით, ჩვენი გული ჩვეულებრივად ღია არის, ვინც ამის წინააღმდეგია და მოდის ომით, ერის სიტყვა მათთვის ნათქვამია...



ჩვენს ფრონტს, ჩვენს იარაღს ზავი და მშვიდობა აწერია, და ეს კი საუკეთესო გამოსავალია თანამედროვე მდგომარეობიდან, თანამედროვე კრიზისიდან. ამას უნდა ეტრფოდეს ყველა, რადგანც ჩვენი თავდასხმა არის მუშათა კლასის იდეებზე თავდასხმა, და იდეების წინააღმდეგ ძალით ბრძოლას თან ახლავს საფრთხე მოძალადეებისათვის...

„ზავი...“

ასეთია ჩვენი უკანასკნელი სიტყვა...

## ორი წლის წინად.

(„Тяжелый крест“-იდან)

18 დეკ. 18 წ. სადახლო. დილა. ომი ეკატერინოფელში სომხებთან.

ისევ სადახლოში ვართ. უკვე მესამეჯერ! მოვედით აქ გენერალი ახმეტელაშვილი, პოლკოვნიკი ჯაჯიხია და მე. აქ შევხვდით გენერალ წულუკიძეს, დაუტოვებელი ალექსანდრეს. ალექსანდრეს განსაკუთრებული ბათალიონით უჭირავს ლომბულოს ზევითი მალღობები... წულუკიძეს საკმაოდ დაღვრემილი, გამხდარი და მოქანცული სახე აქვს. ის ხომ და მარცხებულია!..

სახალხო გვარდიას თავს ვუყრით ეკატერინოფელში. დიდ ნოემ გადაჭრით გვითხრა: „თავი დაანებეთ ჯავშნიან მატარებლების გადარჩენას, ჩვენი მუშები ახლებს გააკეთებენ, იჩქარეთ ეკატერინოფელში და დაიცავით ვარანცოვკის მიმართულება!“.. და ჩვენ ვასრულეთ ამ ამოცანას. ჩვენი ეშელონი დავტოვე სანდარაში. განსაკუთრებულ ბათალიონსაც ვხსნი. ლომბულოსი და სასწრაფოთ გადაგვყავს ეკატერინოფელში... იქნება ბრძოლა და გამარჯვება!.. გუშინ მოვილა დიდი და მშრალი თოვლი. ახლა ირგვლივ ყველგან დიდი თოვლია. დაიღვრება სისხლი. და ალისფერი სისხლი შეღებავს ამ თეთროვლიან სახურავს.

ღიას, ბევრი სისხლი დაიღვრება... ისევ თოვს. სთოვს მსხვილი ფანტელებით... დაიძრა ჩვენი მატარებელი. მივდივართ სანდარაში—ემელონთან. ჩქარა ბრძოლა! და გამარჯვება!..

19 დეკ. 18 წ. ეკატერინოფელი. გარიჟრაჟი.

გუშინ მთელი დღე სთოვდა. დიდი, დიდხანია მე არ მინახავს ასეთი დიდი და ლამაზი თოვლი... იქნება მძიმე და ცივი ომი. ძალიან ცივა! აქ უკვე თავმოყრილია ჩვენი დიდი ძალები: მოდიან ახალი ნაწილები ეკატერინოფელში. ჩვენ შეგვხვდნენ სანდრო და გიორგი ხიმშიაშვილი. ისინი მოუთმენლად გველოდნენ ჩვენ და ჩვენმა მისვლამ ფრთები შეასხა მათ. ჩვენ ვემახსრებით სანდროს მისი უკანასკნელი ტელეგრამის გამო: „მოგვეშველეთ საჩქაროთი შეიძლება თქვენთან უკანასკნელად

ვლაპარაკობდე“. სანდრო ხუმრობს, თან ბუტბუტებს, ჯავრობს...

ხვალ ჩვენ შევუტევთ მტერს. ბოლნისხაჩინზე. გავანადგურებთ მას. ეს მე კაცი.

დიდებული სოფელია ეკატერინოფელი: მდიდარი, კულტურული და ლამაზი. მშვენიერი, სწორი და ელექტრონით განათებული ქუჩები. ყველგან წყალსადენი... ბევრ სახლებში პიანინოზე უკრავენ!..

როდის მიაღწევს ჩვენი სოფელი ამ კულტურულ სიმაღლემდე? ძალიან დიდი ხანი უნდა

19 დეკ. 18 წ. ეკატერინოფელი. დილის 11 საათი

ეს არის გათავდა ბრძოლა... მძიმე, მოულოდნელი და სამაგმლითო ბრძოლა!.. მოშორებით კიდეც ისმის კანტიკუნტად სროლა. ისინი ჩუმდებიან. ეს ჩვენები მისდევენ დამარცხებულ, გაქცეულ მტერს..

მე ძალიან, ძალიან დავილაღე!.. და ჩვენ სულ ყველანი დავილაღეთ... გავიმარჯვეთ, მარა ძვირათ დავვიჯდა გამარჯვება... მოკლეს ძვირფასი, შეუღარებელი და უშიშარი სანდრო! და კიდეც ბევრი მოკლეს... მწუხარება მძიმე უნუგემო მწუხარება მიპყრობს მე. და დიდებული გამარჯვების გამო სიხარული მოკლა ამ საშინელმა დანაკლისმა. გადავრჩით ბე და ალექსანდრე და გავიმარჯვეთ. ერთმა ტყვიამ ალექსანდრეს ქურქის ზურგში გაულობინა. მარა თითონ კი გადარჩა უვნებლად. სანდრო კი დაიჭრა მკერდში—შიგ გულში!.. და მაშინვე მოკვდა... ბედნიერი სიკვდილი... ბევრი იყო მსივრბლი... ივენ ვავროვებთ მკვდრებს და გოოვა იზრდება. ყველა ესენი დიდებული ახალგაზრდებია, ჩვენი უკეთესი ამხანაგები... თავიანთ სიკვდილით იხსნეს ქვეყანა... ეს ჩუმი გძირებია...

ეს იყო სასიკვდილო ბრძოლა. და ის სწყვეტდა ჩვენს ბედს, ბედს ქართველ დემოკრატიას... და ამიტომ ჩვენ უნდა გავვემარჯვებო... ჩვენ დამარცხების უფლება არ გვქონიდა... არ უნდა დავზოცილიყავით ან უნდა გავვემარჯვებო!.. და ბევრი დაიხოცა, მარა გავიმარჯვეთ...

მტერი ღამით ყოველ მხრიდან გარს შემოგვევრტყა. დილით ადრე გადმოვიდა საერთო შეტევაზე, შემოიჭრა სოფელში, ხელთ იგდო ყველა ჩვენი რვა ზარბაზანი, და დადგეს მაღალ სახლებში ტყვიისმფრქვეველები. პირველად დილის 11 საათზე გაისროლეს. ბევრს ჩვენ განს შტაბში ეძინა. სროლამ ყველა გამოაღვიძა, ყველამ თოფებს ხელი წამოგავლეთ და გავიქეცით ჩვენ დაღლილ ბათალიონისაკენ.. არავინ იცოდა რაში იყო კაქმე... ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ეს შემთხვევითი სროლაა საღარაჯოებზე... მარა ჩქარა ახმაურდა ტყვიისმფრქვეველები და დაიგრიალა ზარბაზნებმა... ზარბაზნად და დრო გამოშვებით... უცებ ყველაფერი გამოიჩინა... შეიქნა მძიმე, საბედისწეო, თითქმის გამოუსვლელი მდგომარეობა... ან უნდა სამარცხვინოდ ჩავბარებულიყავით მტერს, რომელიც ღლესასწავლობდა გამარჯვებას და საკუთარი თავის შერცხვენის ფასის და ქვეყნის დაღუპვით შეგვენარჩუნებია სიცოცხლე, ან და თავგანწირვით ჩავმბუ-

ლიყავით საშინელ ბრძოლაში დაქვემდებარებულში გვპოვნა თავისი და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი...

მთელი იმედის გადარჩენა!..

და ჩვენ ჩავებით ბრძოლაში!.. სასოწარკვეთილების აღფრთოვანებით და გაუტყნელი სიმტკიცით... იყო ნათელი და ყინვიანი დღე... მთელი ბუნება შემოსილი იყო თეთრი მოელვარე ტანსაცმელით... თანდათან გავმხნევედით და მოგვემატა რწმენა... და გაჩაღდა ბრძოლა! საუცხოვო, მშვენიერი ბრძოლა. ყველა საშინელი თავგანწირულებით იბრძოდა. ბრძოლაში დაცემულ ამხანაგის ადგილს იჭერდა მეორე ამხანაგი, ყველა მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდა და მკვდრებს და დაჭრილებს არავინ ყურადღებას არ აქცევდა. ალექსანდრე, სანდრო და მე პირველ რიგებში ვიყავით და ჩვენი მაგალითით გავიტაცეთ სხვებიც. მე ვიყავი მარცხენა ფრთაზე, ცოტა მარჯვნივ. შუაში იბრძოდა ალექსანდრე და სულ მარჯვენა ფრთაზე იყო ჩვენი საბრალო სანდრო. და ჩვენ სამივემ შევუტეეთ ჩვენ დატყვევებულ ზარბაზნებისაკენ...

მე ძალიან მშვიდად ვიყავი, რადგანაც ვხედავდი ჩვენ გვარდიელებში ბრძოლის ანთებულ წმინდა ცეცხლს და ვიცოდა, რომ ისინი ან ვაიმარჯვებდნენ ან დაიხოცებოდნენ. ყველანი დაიხოცებოდნენ... და მეც მათთან ერთად...

ბრძოლა თანდათან ხურდებოდა... უცებ მოიბრინა გვარდიელმა და მითხრა: „სანდრო მოკლესო“, მწუხარებამ გული მომიკლა... მარა ცრემლებისათვის დრო არ იყო... ეს საშინელი ამბავი სწრაფად მოედო ბრძოლაში ჩამბულ რიგებს, მარა ვერც ერთი ვერ შეარყია... პირიქით, კიდეც უფრო სიმტკიცით გაექანენ წინ, და გამარჯვების სურვილი შეუწყველი შეიქნა...

ბრძოლა სულ უფრო და უფრო ცხოველდებოდა... თოვლის სახურავი წითლად შეიღებდა და ბევრ ადგილას მშვიდად ეგლო მკვდრები... და ახალი გვამები ეცემოდა... მოიბრინა მეორე გვარდიელმა და მითხრა: „ალექსანდრე მძიმეთ დასტრესო!“ საშინლად გამწარებული გული მომეკუმშა!.. მივხდი, რომ მეც უნდა მოგვეღე. და მე უცებ ცივად დავმშვიდდი. გავიბრინე მთელი ჩვენი ფრონტი და გავახსხვევ მეზომოლნი... გრიალებდა ზარბაზნები, რაკრაკებდა ტყვიისმფრქვეველები და წიოდა ტყვიები... და უცებ წავაწყდი სანდროს ძვირფას გაციებულ გვამს... ის იღო პირჩაღმა. მისი მიქრალი თვალები ნახევრად ღია იყო და სახე თითქოს ილიმებოდა. მე მას ჩემს გულში გამოვეთხოვე... და მივუბრუნდი გვარდიელებს: „ახანაგეო! თქვენ ხედავთ მოკლეს ჩვენი სანდრო მაისურაძე. მისი სიკვდილი გამარჯვებისაკენ გიხმობს თქვენ. ჩვენ დასახვევი გზა არ გვაქვს! მხოლოდ გამარჯვებაშია ჩვენი ხსნა. ჩვენი გზა წინ არის!“ და მე შევძახე „ურა“ მთელ ხაზზე მწყობრად და ხმა მაღლა იგრიალა „ურა“... და ახალი ენერგიით გაექანენ წინ გვარდიელები... დაჭრილები გამწარებით წამოიწვედნენ ზევით, ხელებით ფხოჭნიდნენ თოვლს და მიწას, ზოგიერთები იკვრეტდნენ თითებს და ისინიც ყვიროდნენ „ურა“... ჩვენ



გამოვრკვეთ მტერი სახლებიდან, ტყვეთ ჩავიგდეთ რამდენიმე ოფიცერი და სალდათები. და როდესაც ურას ძახლით მივიჭერთ ჩვენს განთავისუფლებულ ბატარეებთან იქ უკვე იყვენ ალექსანდრე და ქრისტოფორე, რომელნიც იღვენ მოწინააღმდეგის პირის პირ...

ალექსანდრე უვნებელი იყო, და ჩვენ გადავხვიეთ ერთმანეთს... ჩვენს ზარბაზნებთან ეწყო მკვდრები და დაჭრილი არტილერიისტები... იმათ შეასრულეს თავიანთი ვალი!.. ახლა ჩვენი პირველი ასეული ყოჩაღი კაკუცა ჩოლოყაშვილის უფროსობით სდევნის გაქცეულ მტერს... ყველა გვარდიელები საშინლად დაილაღნენ... დავილაღე მეც. ფეხები აღარ შემორჩილება!

ძვირფასო, დაუფიწყარო სანდრო! შენი სისხლი უკვე აღებულია!.. ყველანი შენ დაგტირიანი... მარა შენ მოკვდი გმირული სიკვდილით. ბედნიერი სიკვდილი... მარა მძიმე, საშინლად მძიმე... ვუცდით ახალ შეტევას... ახლა ჩვენ მზად ვართ.

ახლა ველაპარაკები ტფილისს. გამარჯვება და სიკვდილი!.. სიხარული და მწუხარება!.. საშინელი, უნუგეშო მწუხარება...

ვალიკო ჯუღელი

უ ს ა თ ა უ რ ი.

მრავალთა დროთა განმავლობაში ჩვენ ვატარებდით მონის ბორკილებს, ვიზნიჭებოდით ბატონ-ყმობაში, ჩვენვე ვლესავდით ჩვენთვის მახვილებს.

ციხეებში და სახრჩობელებზე ჰგზავნიდნენ ხალხის მოსარჩლე შვილებს; ზოგთ კი ციმბირის ოხერ ველებზე ჰყრიდნენ მხეცურად თვალე-დათხრილებს.

და დღეს, როდესაც მტერად ქცეულია პირ-სისხლიანი კერპი იმ დროთა; მონის ხუნდებიც დამსხვრეულია, აღარ არსებობს ჩვენთვის გოლგოთა;—

უნდა შეეფიცოთ, უნდა აღუთქვათ დაღუპულ გმირთა ძვირფას სახელებს, რომ არ ვუმტყუნებთ მათ წმინდა ანდერძს, რომ ძირს არ დავხრით მებრძოლნი ხელებს!

გ. ქუჩიშვილი.

თანამედროვე წერილები.

შ. სავალი.

ჩემი საუბარი სამხედრო ხასიათისაა. თანამედროვე ომებმა, ბრძოლებმა, ბევრი პრაქტიკული საქმიანობა დააკისრა ჩვენს ხალხს. როგორც ძველად, ისე ეხლა საქირა გახდა შეიარაღება, მომზადება, ახალგზარდების დაზამვა სამხედრო ერთეულებათ, გაწრთვა, სწავლა.

სამხედრო განვითარებისათვის, სამხედრო მოძრაობისათვის, მართლაც აუცილებელია შესაფერი ცოდნა, გამოცდილება, თავდაჭერა, წესრიგი.

მე ძველი ჯარის-კაცი ვარ, ნიკოლოზ მეორეს დროინდელი. გამივლია ყაზარმული ცხოვრება, მისი სიმწვავე... მინახავს სრულად ძველი ჯარის-კაცის ცხოვრება. ვყოფილვარ რუსეთის შინაურ ექსპედიციებში; მინახავს დამსჯელ რაზმების მოქმედება ძველად, ძველი წესწყობილების დროს.

ვყოფილვარ მსოფლიო ომში: გალიციაში და სხვაგან. მინახავს დიდი ბრძოლები, ხოცვა-ჟლეტა, მიმილია მონაწილეობა შტიკებით შეტაკებებში, მინახავს ომში დახოცილთა მკვდრების გორები, მძინებია დახოცილებში, მიცხოვრია ყინულიან სანგრებში, გამოიმკდია შიში და უკან დახევა, გაბედულება, წინსვლა, აღტაცება და თავდავიწყება...

ეს ყველაფერი ძველი წესწყობილების დროს.

ჩემს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რუსეთის დიდი რევოლიუციიდან კი ვარ სახალხო გვარდიელი, თავისუფალი მოხალისე და ჩვენს ქვეყანაშიც მინახავს ბრძოლები. რწმენით კი ვიყავი ძველად, პატარაობიდან სოციალისტი, ხელობით სოფლელი მუშა, მოწინააღმდეგე მილიტარიზმის, მოწინააღმდეგე სისხლის ღვრის, ომის.

დღესაც სოციალისტი ვარ, ქალაქის მუშა და იმავე შეხედულების ომზე, რაც წინეთ.

მიუხედავად ამისა, ვიყავი ჯარის-კაცი, ვყოფილვარ ომებში, ვასრულებდი ყოველგვარ ბრძანებას, მეჭირა იარაღი ხელში...

მაშინ გაწვეული ვიყავი ჩემი ნების გარეშე...

ეხლა ვარ გვარდიელი, ისევ მიჭირია იარაღი, ვარ ჩემი სურვილით გამოსული, ვიღებ შეძლებისდაგვარად მონაწილეობას ყველგან, ვასრულებ მას, რასაც მიბრძანებენ.

მაშინ, ნიკოლოზის დროს, არ ვიცოდით რა მიზნისათვის ვიბრძოდით, იყო ძალდატანება, უხეში ბრძანება...

არ გვინდოდა, მარა ვასრულებდით... დღეს მესმის, რისთვის ვიბრძვით, რას ვაკეთებთ, საით მივდივართ...

მაშინ ვიყავი მონა, უსულო მანქანა, დღეს ვარ თავისუფალი მოქალაქე, თავისუფალი მეომარი, ვემსახურები მშრომელი ხალხის დაცვას, ჩვენი მომავალი თაობის საქმეს...

მაშინ ვასრულებდი ხალხის ბრძანებას, დღეს კი ვასრულებ თვით ხალხის ნებას, ხალხის ბრძანებას, ამხანაგების და წინამძღოლების რჩევა-დარიგებას...

ეს უდიდესი განსხვავებაა მაშინდელ ჩემს ჯარისკაცობას და ახლანდელს შორის...

დღეს კი არის გატაცება, ბევრი სიხარული...

და მე მინდა ვისაუბრო... ვისაუბრო მანამდის, სანამდის არ ვიტყვი ყველაფერს...

ვიცი ბევრი საქმე გვაქვს... მძიმე და ძნელი...

საჭიროა ყოველგვარი გამოცდილების გამოყენება, ყოველგვარ დაკვირვების მონაგონება, აწონ-დაწონვა... ბევრს გამოცდილება გვასწავლის, ბევრს სწავლული ხალხის ისტორიული წერილები, — რომელთაც სამხედრო მეცნიერებას ეძახიან...

ამიტომ მე უნდა ვისაუბრო, როგორც ჯარის-კაცმა და გვარდიელმა, ამხანაგ ჯარისკაც-გვარდიელებთან... ბევრი არის სათქმელი, დასაწერი... მართალია, ყველაფერის თქმა-წერა შეუძლებელია, მაგრამ მე მაინც ნებას მომცემს პატივცემულ ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ რედაქცია, რომ ვილაპარაკო და ვსწერო...

დრო სერიოზულია. დაუჭრება დიდ რამეს ნიშნავს... მძიმე პირობები გამოცდილებას მოითხოვს... მძიმე ცხოვრება — ატანას... ყველამ უნდა იცოდეს, რა უნდა აკეთოს...

მე მაგონდება დღეს იტალიის გამოჩენილი გმირის გარიბალდის სიტყვები: „მეომრებო! მე თქვენ გეუბნებით: ვინც კი მოდის ომში, სიცავე, ტანჯვა, შიმშილი, დაღლა, უბურობა, უთავსესაფარობა ჩვენი ხვედრი იქნება... სამაგიეროთ იქნება ბრძოლა შეუსვენებლივ, იერიში, საომარი ნაბიჯები, თავგანწირვა... ვისაც უყვარს თავისუფლება და სამშობლო — წამოვიდეს ომში ჩემთან!..“


ასეთი ხანა და ჟამია ეხლა ჩვენთვის...

I

ჯარი და სახალხო გვარდია.

საქართველოში დღეს ორგვარი სახის შეიარაღებული ძალაა.

ერთია სახალხო გვარდია, მეორეა ახალგაზრდა ჯარი. ორვე კი ემსახურება ერთ და იმავე საქმეს, ერთ და იმავე მიზანს... — იცავს ქვეყანას გარეშე მტერისაგან, იბრძვის თავისი დამოუკიდებელ



ახალ აყვავებულ სამშობლოსათვის, ებრძვის შინაურ ანარქიას, ამტკიცებს რევოლიუციით მოპოვებულ უფლებებს და წინ გზას იკაფავს საუკეთესო მომავლისაკენ.

გვარდიელი იგივე ჯარისკაცია, ჯარისკაცი იგივე გვარდიელია. ორივე მებრძოლია, ორივე თავის უმანკო სისხლს ღვრის მთავარისათვის—საქვეყნო საქმისათვის, ხალხის სიყვარულისათვის...

ორივე ერთ და იმავე ოჯახის შვილია—საქართველოს ხალხის, დემოკრატიის ოჯახის...

ბევრი შხამიანი ენები სისინებდნენ, რომ გაეყოთ ჯარი გვარდიისაგან, გვარდია—ჯარისაგან...

შავრაზმელები და თავისუფლების გამყიდველები, მშრომელი ქვეყნის და საკუთარი ოჯახის მოღალატენი ყოველ დროს ჯარის-კაცებში ტრიალებდნენ და ეწეოდნენ საზიზღარ პროვოკაციას გვარდიის წინააღმდეგ. ეს იყო ახლო წარსულში და დღეს აღარაა. დღეს ყველამ იცის, ვინ არის საქართველოს ჯარისკაცი და გვარდიელი. მოწინააღმდეგეებმაც იგრძნეს დამარცხება, შეურიგდნენ ამ გარემოებას და ეხლა ვეღარ ბედავენ ქორების გავრცელებას. ქედს იხრიან ჩვენი ჯარის და გვარდიის წინაშე...

საქართველოს ღირსეული ოჯახის ღირსეული შვილია—გვარდია და ჯარი—ეს ყველამ იცის დღეს, მტერმაც და მოყვარემაც, გზადაბნეულმა და მოღალატეებმაც...

ამიერიდან ძნელია წაშალოს ვინმე თავისი ბორცვი განზრახვებით ის უდიდესი რომანტიზმი, სიყვარული, რომელიც ამ სამი წლის ისტორიამ ჩანერგა სახალხო გვარდიაში და ახალგაზრდა ჯარში...

ეს მწამს მე, სახალხო გვარდიელს, ეს სწამს ახალგაზრდა ჯარისკაცს, ეს სწამს საქართველოს ხალხს...

იყო წინეთ თავისებური ისტორია... მოვიგონოთ უნდა ეს, რადგანაც წარსული ისტორიაა გამოცდილების, აწმყოსათვის გამოსადეგი, მომავლისათვის წინასასვლელად აუცილებელი...

ყველამ უნდა იცოდეს ჩვენი წარმოშობა, ჩვენი წინანდელი საქმიანობა, მომდინარეობის სათავე და განსაკუთრებით გვარდიელებმა და ჯარისკაცებმა...

ყველამ უნდა იცოდეს აგრეთვე თანამავალი ხანა და მომავლის ბრძოლის მიზანი...

ჩვენ გვქონდა წარსული. ჯარსაც და გვარდიას აქვს თავისი ისტორია.

ისტორია სხვადასხვა ხანებში სხვადასხვა-ნაირი...

ვილაპარაკოთ ჯერ გვარდიაზე.

1905 წელში საქართველოში დიდი სახალხო მოძრაობა იყო. მაშინ საქართველოს მუშები და გლეხები რუსეთის მუშებთან ერთად იბრძოდნენ ამ ეპოქით გარდაცვლილ ცარიზმის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რევოლიუცია იყო ხალხური. რევოლიუციონერ წრეებში: მუშებში და გლეხებში მაშინ მოითხოვა ცხოვრებამ, ჩაისახა მის პირობებში და კიდევ დაიბადა—წითელ რაზმი.

წითელი რაზმელები ამშვენებდნენ 1905 წლის დაუვიწყარ, დიად და ძვირფას სახალხო მოძრაობას. ამ დიდ მოძრაობას მაშინ ბევრი თავგანწირული ახალგაზრდა წითელი რაზმელი შეეწირა.

რევოლიუციამ დამარცხება განიცადა. გაბატონდა რეაქცია. წითელი რაზმელები ჩვენში ტყის სტუმრებად გახდნენ, ბევრი დაიხოცა, ბევრი ციხე ციხიბრში ჩაღვა, ბევრი წამებით მოკვდა.

იქ, რუსეთშიაც ასე იყო. ბალტიის მხარეში რევოლიუციონერი რაზმები ტყეებში ცხოვრობდნენ, იქ მათ ტყის ძმებს ეძახოდნენ.

დროთა-სვლის განმავლობაში წითელი რაზმი წაიშალა, მხოლოდ დარჩა იდეა და ეს იდეა იყო ჩვენთან და დროს უცდიდა.

1917 წლის ბოლო ხანებში, ისე იგი იმ დროს, როცა რუსეთის რევოლიუციამ მწვავე და უარყოფითი ხასიათი მიიღო, ჯარს პოლიტიკურათ ბოლშევიკური გადამდები სენი მოეღო. ფრონტები დაიშალა, პოლკებში ანარქიამ იჩინა თავი, ყველაფერი აისვარა. ეს იყო არევ-დარევის ხანა და მეტათ მძიმე ფურცელი ჩვენი ცხოვრების ისტორიაში...

მაშინ ჯარის-კაცები მოსტყუდნენ, შეცდნენ. მეც ჯარისკაცი ვიყავი და აქვე უნდა მოგახსენოთ ცოტა აწეულიც, რადგანაც სახლში წასვლა და უსაქმობა მეთამაშებოდა...

მოხდა სამწუხარო ამბავი... საშინელია ეს მოგონება, მაგრამ უნდა მოვიგონო. პირველად ქვეყანამ, მთელმა კაცობრიობამ ჯარი გამოაცხადა ხალხის, თავისუფლების, სამშობლოს, რევოლიუციის მესვეურად. ყველა ვაშას და დიდებას უძღვნიდა და ბოლოს წმინდა სახელი წმინდა საქმე ბოლშევიკების ჩაგონებით, შეილახა, შავი ასოებით შეიცვალა.

ასე მოხდა...

სწორეთ ამ დროის ქვეყანა დაკვან მოითხოვდა, პატრონია რაზმ იყო, მშენებელი... დამნგრეველი, უსაქმო, ხელის შემშლელი ბევრი.

საჭირო იყო საქმე, და თფილისში გამოჩნდა მუშათა წითელი რაზმი, მას შეუერთდა სოფელი წითელი რაზმელები.

წითელი რაზმი მოევიანა ხალხს მხსნელად, თავისუფლების დასაცველად...

იგი რევოლიუციის ტალღებიდან წარმოიშვა, რევოლიუციის შინაარსმა მოგვცა, რევოლიუციამ ჩამოაყალიბა მისი გაბედული სახე...

ეს იყო პირველი და თანდაყოლილი შვილი განმათ. მოძრაობისა, ხალხს, რომელიც იბრძოდა რეაქციის ხანაში, დიდმა რევოლიუციამ კიდევ მეტი და მძიმე საქმე დააკისრა—იარაღით ბრძოლა. წითელ რაზმელების გამოხსენა არ ყოფილა ბევრით, ბრძანებით, ძალდატანებით.

ისინი თვით გამოვიდნენ თავისი სურვილით, შეგნებით, მდგომარეობის გაგებით, ისტორიული ვალის მისახველათ და ეს რაზმელები იყვნენ და არიან მონახლსეთა ლაშქარი, რევოლიუციისაგან მოცემული. მე მეზარებოდა ძველი რეჟიმის დროს ჯარისკაცობა, მაგრამ რაკი დაინახე საჭიროება მე გავხდი სახალხო გვარდიელი ჩემივე სურვილით, რადგანაც, რასაც სიტყვით ვამბობდი, დრო დადგა, და საქმემ მისი იარაღით დაცვა მოითხოვა...

წითელი რაზმელების ისტორიული თვისება, მათი სამხედრო ღირსება სწორეთ ამით განსხვავდება: ისინი გასაჭირის დროს თვით მივიდნენ სადარჯლოზე...

1917 წლიდან იწყება წითელი რაზმის განვითარება. თავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლიუციონერები უერთდებიან მუშათა რაზმებს, რომელთა ხელმძღვანელი იყო მუშათა საბჭო. დაარსდა ყველგან პროვინციებში შტაბები.

წარმოიშვა საქართველოს რესპუბლიკის მთავარი შტაბი. მიიღო გარკვეული ფორმა, სამხედრო სახე. შინაური დაცვა და აგრეთვე გარეშე მტერთან ომში გამოწრთვნა. რევოლიუციამ თავის მსვლელობის დროს მისცა ქვეყანას ნამდვილი დამცველი...

საქართველოს უზენაესმა კრებამ, ეროვნულმა საბჭომ, 1918 წელს ივლისში თავის ისტორიულ სხდომაზე ეს რევოლიუციონერი მოძრაობა თავისი უმაღლესი სიტყვით დააქანონა...

# კ მ ა თ ა ს ა

## საშურის სახალ

დახორცილნი შულავერში 1918 წ. 26 დეკემბერს.



იანონ ესტატის ძე ნადირაშვილი.



პეტრე შიოს ძე ლალუაშვილი.



არჩილ შიოს ძე ჩუბინიძე.




ხანდრო მაისურაძე.

(მთ. შტ. წერილ. მოკლეს ეპატორინფოდელ. 18 დეკ. 1918 წ.).



ჯავარია გრიგოლის ძე მესხი.



ივანე ჯავარიას ძე ტყეშელაძე.



ივანე მკვათელის ძე ნევილიძე.



ივანე ზურაბის ძე ნოზაძე.

# ს ა ფ ზ ლ ა ო

## სა გვარდიელები:



ოფ. დ. ი. ტყეშელაშვილი.  
მოკ. 1919 წ. 28 თებ. აწყურის ფრონტზე.



გ. ი. ხანიშვილი  
მოკ. აწყურის ფრონტზე 1919 წ.



ოფ. გ. გ. მაისურაძე.  
მოკ. აღერბეილ. ფრონტზე 1920 წ. 15 მაისს.



ა. მ. ხვანიძე.  
მოკ. ყაჩაღ. შეტაკებაში 1919 წ. ნოემბ.



ი. ვარაშაძე.  
ბაშ. შტ. წერილ გარდ. 1919 წ.



წ. ბიბილაშვილი.  
გარდ. 1919 წ.



ე. მ. ჯიბლაძე.  
გარდ. 1919 წ.





და საქართველოს ხალხის წარმომადგენლებმა სთქვეს შემდეგი ისტორიული სიტყვა:

„რევოლუციის დროს, განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში, როცა უთვალავი საფრთხე და უბედურება ემუქრებოდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, ნორჩ და გაუმავრებელ სახელმწიფოს, წითელმა გვარდიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია თავისუფლების და სამოქალაქო წესრიგის დამყარებას.

წითელი გვარდია, რომელიც შესდგა მოწინავე მუშებისა და გლეხებისაგან, გამირულის ვაჟკაცობით იცავდა თავისუფლებას და რევოლუციას გარეშე და შინაურ მტრებისაგან; მან იტვირთა მთელი სიმძიმე ბრძოლისა გაძლიერებულ ანარქიასთან, რომლის მღვრიე ტალღები წალეკას უქადდა საქართველოს რესპუბლიკას.

წითელი გვარდიის ამ დიადი სამსახურის ასანიშნავად ეროვნული საბჭო აკითაცხადებს წითელ გვარდიას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო გვარდიას, სახალხო გვარდიაში რჩებიან წითელი გვარდიის ყველა ნაწილები თავის შტაბებით და შემადგენლობით“.

საქართველოს პარლამენტმა კანონს შემოაღნიშნული წაუწინამძღვრა და ამგვარად წითელი რაზმი იქცა მთელ სახალხო მოძრაობათ.

სახალხო გვარდიამ თავის მოძრაობაში განახორციელა სამხედრო ხელოვნება და საზოგადოებრივი მოქალაქეობა.

მუშა-ქარხანაში მომუშავე, სოფელში — ყანაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქე, განსაცდელის დროს მებრძოლი, აი—ვინ არის სახალხო გვარდიელი.

სახალხო გვარდიას, რადგანაც ადრე გაიფანტა მთელი ბურჟუაზია, გვერდში ამოუდგა ახალგაზრდა ჯარი.

ჯარი გამოერკვა, გამოფხიზლდა ადრე, და ორივე ძმურად იღებდა მონაწილეობას თავდაცვითი ბრძოლაში.

ჯარი ფეხზე დადგა. მისი არსებობა საჭიროა სახალხო გვარდიისათვის, გვარდიის არსებობა ჯარისთვის:

გვარდია და ჯარი ჩვენი თავისუფლებისათვის...

ცხოვრებამ მოგვცა და დააკანონა მებრძოლთა ორი ფორმა ორი ტიპი, ერთი შინაარსით, ერთი მიზნისათვის.

არის განსხვავება: ჯარის კაცი მსახურობს განსაზღვრულ დროთი, იგი იხდის დემოკრატიულ სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ ბეგარას.

ყველა ვალდებულია მოიხადოს ეს სამსახური.

გვარდიელი ბეგარა—მოხდილია, მას არ უწევს სამსახური, მუშაობს, მხოლოდ თავისუფალი წევრია გვარდიისა, და როდესაც ის ვალდებულია სასწრაფოდ გამოცხადდეს, მისთვის სულერთია: უწევს თუ არა მობილიზაცია, მისთვის ხნოვანობა არ არსებობს... იგი მოხალისეა...

გვარდიელი, ბრძოლაში მიდის თავის სურვილით,—ეს იმიტომ, რომ იგი წინდაწინ ჩაეწერა სახალხო გვარდიაში.

ჯარისკაცს, რომელიც მუდმივ სამსახურში გაყავთ, კანონი ავალებს სამსახურს, ბეგარას. ყველას უწევს ეს.

ჯარისკაცი, რომელიც თავისუფალი მოქალაქეა, მხოლოდ გვარდიაში არაა ჩაწერილი, და განსაკუთრებულ შემთხვევებში იწვევენ მობილიზაციაში,—ასრულებს მოვალეობას სამშობლოს წინაშე...

დახმარება ეძლევა სამხედრო მდგომარეობის დროს მობილიზაციით გაწვეულ წლებისას ყველას ერთნაირად: გვარდიელსაც, ჯარისკაცსაც, მხოლოდ გვარდიელი რჩება თავის ნაწილში...

ჯარი და გვარდია გათანასწორებულია სხვა ნაწილში...

ჯარი და გვარდია გამოხატავს საქართველოს შეიარაღებულ მოძრაობას...

ერთიც და მეორეც აუცილებელია...

მართალია, საქართველოს ეროვნულმა კრებამ მოხვედრამ 1918 წელს, 26 მაისს, და 1919 წელს 12 მარტს ქვეყნის წინაშე დამფუნ. კრებამ განაცხადეს შემდეგი: „საქართველო საერთაშორისო ომიანობის ხანაში მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“, მაგრამ ეს ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არაა.

ნეიტრალობა კი ჩვენებურად ნიშნავს დამოუკიდებელ პოლიტიკას, არც ერთ ომში ჩარევას, არავის კავშირში არ შესვლას, ყველა სახელმწიფოები იცავს თანასწორად და არავის აქვს ნება ეს მდგომარეობა დაარღვიოს, მაგრამ ეგ მომავლის საქმეა... ასეთ პირობებშია ევროპაში პატარა შვეიცარიის ხალხი.

ჩვენც გვინდა მივალწიოთ ამას. და რომ ამ მიზანს მივალწიოთ, ამისთვის საჭიროა დღეს მტკიცე ნება, ბრძოლა, თავდაცვა. და ამ ისტორიულ საქმეს აკეთებს გვარდია და ჯარი...

გვარდია და ჯარი კი არის სამხედრო ძალა, და სამხედრო ძალას აქვს თავისი ბეცნიერება, საომარი გეგმა, შინაური სამსახური, სამხედრო დისციპლინა, სამხედრო მორალი... მთელი რიგი კანონებისა, ტრადიციებისა...

უნდა ვიცოდეთ ყვილამ ექიმისადმი მიზნის მიღწევა მოითხოვს სახალხო გვარდიის ცოდნას...

სახალხო გვარდიელი გერეტი.

სალამი გვარდიას!

სალამი და გამარჯვება ამხანაგ გვარდიელებს! მოგილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალწელს. ჯერ არ ვიცით რას გვიქადის ეს ახალი წელი, მაგრამ ერთი კი უტყუარია საქართველოს! მშრომელი ხალხი, შეიარაღებული ძალა, ძველებურად მედგრად, რკინის რკალივით შემორტყმია. საქართველოს საზღვრებს და სღარაჯობს დემოკრატიულ სამშობლოს ყოველივე ავი ძალის თავდასხმისაგან. თქვენ, ამხანაგი გვარდიელები და თქვენი ღვიძლი ძმა, ახალგაზრდა ჯარი, ხართ იმედი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, და განა თქვენს უკეთესი კიდევ ჰყავს ვინმე დედა-სამშობლოს? არავინ. ასეთი იმედი რომ არ იყოს, განა შეეძლოთ მუშაობა გულდასმით ჩვენს მშობლებს, ჩვენს მასწავლებლებს განა შეუძლიანთ ასწავლონ, ან მოწაფენი სწავლაში ივლიან, თუ იმედი არ იყოს თქვენი? განა სამეცნიერო, სამხატვრო ან სხვა ადამიანის სულის უაღრესი ამოძახილი იპოვიდა შესაფერ ფორმას და გამოთქმას? არა, ამხანაგო გვარდიელებო! ეს არ იქნებოდა. აი ამიტომ გვიყვარს ჩვენ ჩვენი გვარდია და ჯარი. მე კი განსაკუთრებით ბედნიერი ვარ კიდევ იმით, რომ მეც ვატარებ სახელს გვარდიელისას, და ეს ჩემთვის დიდ სიამაყეს შეადგენს. მე გვარდიამ დამაჯილდოვა თავისი ნიშნით იმიტომ, რომ 1905 წელში, მოსკოვში რევოლუციის დროს სხვებთან ერთად, და მათ შორის იყო ვალიკოჯუღელი, ვიყავით ჩვენ პირველი ქართველი გვარდიელები. აბა მე იმდენს რას გავაკეთებდი! მაგრამ ეს ძველი დამიმსახურა გვარდიამ და პატივი მცა განსაკუთრებული. აბა მე რომელი მეომარი ვარ? მე მხოლოდ თეატრში ვიცი კარგათ ციხე-სიმაგრეების აღება და მტრის დამარცხება. მაგრამ, თუ საჭირო იქნება, მეც თქვენთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად. ეს ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი საქმეა როგორ მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას, სხვა ვერავინ ჩაერევა ჩვენს ცხოვრებაში:

მაშ, გისურვებთ, ამხანაგებო, ყოველივე კარგს და გამარჯვებას.

თქვენი მოყვარული ამხანაგი, გვარდიელი, სახელმწიფო თეატრის კომისარი ალექსანდრე წუშუნავა

# კარლ კაუცკი და მისი გეულე სახალხო გვარდიის საბანკებო გ-ნი.

1921 წ. 1 იანვარი დარჩება უმშვენიერეს დღედ საგანგებო ბ-ნის გვარდიელების ცხოვრებაში. ამ დღეს მათ ეწვია ძვარფასი სტუმარი—ჩვენი და მასთან მსოფლიო პროლეტარიატის მასწავლებელი და ხელმძღვანელი, ამხ. კარლ კაუცკი.

წინეთ მის სახელობაზე ამავე ბ-ნი გაიხსნა გვარდიის სახლი, მაგრამ სამწუხაროთ კაუცკი გახსნას ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო, და ეს მწუხარება მან გამოსთქვა გვარდიელებისადმი მიმართულ სიტყვაში. დიდი დანაზრით გვარდიელებში მზადება იშვიათ სტუმრის მისაღებად. ლაპარაკია კაუცკის შესახებ—ის დღეს გვესტუმრება და თან გამოგვემზიდობება. დილის 11 საათზე იხსნება კრება მთელი ბ-ნის გვარდიელებისა. ამავე და საინჟინერო ბ-ნების კულტურულ-განმანათლებელ სექციის სახელით ამხ. დ. ორგველიძე ულოცავს გვარდიელებს ახალ წელს.

ამ დროს შემოდის დარბაზში კარლ კაუცკი და მისი მეუღლე. მთელი დარბაზი ოვაციით და ხანგრძლივი ტაშის ცემით ეგებება. კრების სახელით მათ მიესალმა ამხ. ორგველიძე. მან მოკლეთ სიტყვა შემდეგი: ჩვენ, გვარდიელები დიდად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენს შორის ვხედავთ იმ მოხუც მასწავლებელს, რომლის შესახებ მხოლოდ წიგნებში წაგვეკითხა და გაგვეგონა. საგანგებო და საინჟინერო ბ-ნების კულტ.-განმანათლებელმა სექციამ თქვენს სახელობაზე გახსნა გვარდიის სახლი, სადაც ისინი ღებულობენ სულიერ საზრდოს. მაგრამ ჩვენდა, სამწუხაროთ თქვენ ვერ დაესწარით. მართალია დღეს ჩვენს საზღვრებს რკალივით არტყია მტრები, რომელნიც ლამობენ შიგ შემოჭრას, მაგრამ აი ასეთს დუხტირ პირობებშიც კულტურულ მუშაობას მაინც ვაჩვენებთ... ჩვენ მდიდარი ვართ თავისუფლებისადმი სიყვარულით—ჩვენ ვეროპის პროლეტარიატთან ერთად ვივლით ნაცად დემოკრატიული გზით და ვიბრძობლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ჩვენ დიდად ვწუხვართ რომ თქვენ ხვალ მიემგზავრებით, მაგრამ იმედი გვაქვს რომ თქვენ სულიერად ჩვენთან იქნებით და დახმარებას გაგვიწვეთ თქვენი ცოდნით და გამოცდილებით. გადაეცით სალამი ვეროპის პროლეტარიატს შეიარაღებულ მუშებისადგან.

საპასუხო სიტყვას ამბობს კარლ კაუცკი.

„ძვირფასო ამხანაგებო!

მე ძლიერ მწყინს, რომ ჩემი აქ მოსვლის დღე იმავე დროს არის წასვლის, გამოთხოვების დღე. მე პირველად აქ უნდა მოვსულიყავი, იმიტომ რომ მე გვარდიამ პატივი დამლო:

თავის წევრად გამიხადა, და ამ სახლს ჩემი სახელი დაარქვით. მაგრამ თუ ვერ მოვედი ეს დიდ დანაშაულად არ მიმაჩნია, ვინაიდან იმ კავშირის, რომელიც ჩემსა და თქვენს შორის არსებობს გარეგანი ნიშნებით გამოხატვა არ არის საჭირო. მე მახსენდება, რომ თფილისში არსებობს მეორე ამგვარი სახლი სოციალიზმის თეორიტიკოსის პლენანოვის სახელობაზე—ის ჩემი პირადი და უახლოესი მეგობარია აყო. მე ვამაყოფ, რომ მეც ისეთი პატივი მეცით და იმასთან ერთად მეც მომიხსენიეთ. ამ სახლების დაარსება ამტიციებს იმას, თუ რა ძლიერია თფილისის მუშებში თეორეტიკული ინტერესი, ლტოლვა განვითარებისაკენ. ეს სახლი ემსახურება შეიარაღებულ ხალხს, მისი დანიშნულებაა მიაწოდოს მას სულიერი საზრდო. ჩვენ გისურვებთ, ამხანაგებო, რომ ამ სახლიდან შეგეძინოთ დიდი გონებრივი და მორალური ძალა და ამ სახლიდან გამოსულიყოს არა ერთი და ორი თეორეტიკული ცოდნით აღჭურვილი ამხანაგი, რომელიც დიდს სამსახურს გაუწევს სოციალიზმის საქმეს.

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას!

გაუმარჯოს საქარ. სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

სიტყვას ოვაციით და ტაშის ცემით შეხედენ. მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს.“

გვარდიელებს ხელში აყავთ კაუცკი და ტაშის ცემით აცილებენ. შემდეგ იმათ დაათვალიერეს ბინის შკოლა, სადაც სწავლობენ წერა-კითხვის უცოდინარი გვარდიელები, ბიბლიოთეკა და სექციის ბინა. ისინი მეტის მეტად კმაყოფილნი დარჩენ.

გვარდიელი ნ. გვ—ია.

## მიწის რეფორმა საქართველოში\*)

(გარძელება)

აი კითხვები, რომლებიც წამოიჭრა სოციალისტური პარტიების წინაშე. ამ კითხვების შესახებ შეიქნა დიდი დავა და ვინაიდან ეს დავა გადმოვიდა მერე საქართველოში არსებულ პარტიათა შორის, ამიტომ საჭიროა ამ დავის გათვალისწინება და ახსნა-განმარტება.

სანამ ამ დავაზე დავიწყებდეთ ლაპარაკს მე მინდა ორიოდ სიტყვით აღნიშნო, თუ რა სურთ მომავალში სოციალისტებს ხალხსათვის. როგორც თვით სიტყვა „სოციალისტი“ გვიჩვენებს, ისინი მიიღტივან, მისწრაფიან სოციალიზმისკენ, ე. ი. ისეთი წესწყობილებისაკენ, რომელშიც, როგორც ქარხნები და მიწა იქნება საზოგადო კუთვნილება—ისე ყოველივე სხვა საწარმოვო იარაღები გადავა მთელი ხალხის ხელში. მაშინ არ იქნება არც ბატონი და ყმა, არც კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა. არც დამჩაგრელთა კლასი და არც დაჩაგრული. მაშასადამე სოციალისტები ისე უნდა აყენებდნენ მიწის საკითხს, რომ ამით დაჩქარებულ იქნას სვლა სოცია-

ლიზმისაკენ. მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია გადასჭრას საბოლოოდ მიწის საკითხს. მთავის მათი მიზანია ჩქარის ნაბიჯებით გაქვნილი ხალხი იმ სანეტარო დროსაკენ, სოციალიზმი-საკენ, რომელიც მოსაზრებს საზოგადოებაში კლასობრივ განხეთქილებას და განთავისუფლებს ხალხს ყოველივე მონობისადგან.

გამოდოდა რა ამ მოსაზრებიდან, ერთმა პარტიამ, სახელდობრ, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიამ წამოაყენა მიწის სოციალიზაცია, ე. ი. მიწის განსაზოგადოებრივობა, კერძო საკუთრების მოსპობა ყოველგვარ მიწაზე, იქნება ეს მსხვილი მემამულის მიწა თუ გლეხობის. მიწის ყიდვა-ყავიდა, დაგირავება, გასაჩუქრება და სხვა ისპობა. მიწა მიეცემა მხოლოდ დასამუშავებლათ. მასთანავე სოციალისტ-რევოლიუციონერების პროგრამა გულისხმობს მიწების დროგამოშვებით გადამიჯვნას, ხელახალ გადაყოფას. მაგ. შენ რომ ერთ ნაჭერ მიწას ამუშავებ ხუთ თუ ათ წელიწადს, მერე გადამიჯვნის დროს შენ შეიძლება შეგხვდეს სხვისი ნამუშევარი მიწა, შენი კი სხვას.

რა ქონდათ ამ პროგრამის საწინააღმდეგო სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელმაც სხვა პროგრამა შეიმუშავა? უპირველესათ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ შეუძლებელი იყო გამომუშავება ერთი ზომისა მთელი რუსეთისათვის (როგორც ამას შერებოდენ ს.-რ.), რომელშიდაც შედიოდა ბევრი ისეთი ქვეყნები, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდნენ თვით რუსეთისადგან. ავიღოთ, მაგალითად, ამიერ-კავკასია, ციმბირი, თურქესტანი, პოლონეთი და სხვა. ეს ქვეყნები განსხვავდებოდნენ რუსეთისადგან არა მარტო მიწის საკითხის სწორ გადასაჭრელათ), ზნე-ჩვეულებით და ისტორიული წარსულით. მიწის მფლობელობის და სარგებლობის ფორმით არამც თუ განაპირა ქვეყნები განსხვავდებოდნენ რუსეთისადგან, არამედ შიგა რუსეთშიც სხვა და სხვა ოლქები ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთი მეორისადგან. ზოგიერთ ოლქში თემური, საზოგადოებრივი მიწათმფლობელობა იყო, ზოგში კი წვრილი კერძო მესაკუთრება ბატონობდა და ვითარდებოდა. შეუძლებელი იყო კერძო საკუთრების მოსპობა სოფლად იმ დროს, როდესაც კერძო საკუთრება ქალაქად მიქნევარებდა. კაპიტალისტური წესწყობილება ქალაქში და ნახევრათ სოციალიზმი სოფლათ—ეს შეუძლებელი რამ არის, მით უმეტეს იმ დროს, როცა სოფელი და ქალაქი მჭიდროთ არიან გადაჯაჭვული ეკონომიურად. მიწის სოციალიზაცია დღეს და ქარხნების სოციალიზაცია მერე, სოციალიზმის დროს—ეს შეაფერხებდა პროლეტარიატის მსვლელობას სოციალიზმისაკენ, მაშასადამე, მთელი კაცობრიობის წინმსვლელობას, პროგრესს.

ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ წარმოაყენა მიწების ნუნციპალიზაცია, ე. ი. მიწები უნდა გადაეცემოდა ადგილობრივ საოლქო თუ სამაზრო თვითმართველობებს. ეს უკანასკნელი მიწებს გასცემს ადგილობრივი პირობების მი-

\*) იხ. „სახ. გვარდ.“ № 2.

ხედვით. მაშასადამე, ჩამორთმეული მიწები უნდა გადაცემოდა იმ ორგანოებს ხელში, რომელიც ხალხის მიერვე იქნებოდა არჩეული. სოციალ-დემოკრატიის ეს პროგრამა სრულად ჩამოყალიბდა 1906 წელს ივრედ წოდებულ გამაერთიანებელ ყრილებზე. ამ ყრილობაზე იქმნა შეტანილი ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო შენიშვნა, რომელშიც იყო ნათქვამი, რომ თუ ადგილობრივი პირობები და ხალხი მოითხოვენ—მიწები უნდა განაწილდეს გლეხებზე კერძო საკუთრებად. აქედან სჩანს, რომ სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს ადგილობრივი პირობების მიხედვით მიწების კერძო საკუთრების გადაცემას გლეხებზე.

როგორც ვიცით ეს დღეს, საქართველოს ხალხმა არ მიიღო არც ერთი დემოკრატიის მიწის გამოსყიდვა (ამათმა კი ეს პროგრამა გადმოიტანეს რუსეთის კადეტებიდან), არც მიწის სოციალიზაცია (ეს უკანასკნელი, შემუშავებული რუსეთის ცხოვრების პირობების მიხედვით, გადმონერგეს ჩვენში ჩვენებურმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ფედერალისტებმა), როგორც შეუსაბამო ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებასთან. მან აირჩია სხვა გზა სოციალ-დემოკრატიისა და კიდევაც ატარებს ცხოვრებაში იმ რეფორმას, რომელიც გამომდინარებებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპებიდან და პროგრამიდან ამ რეფორმაზე შემდეგ წერილებში შექნება ბაასი.

**მანჯელი**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველ ყრილობის ოქმიდან ამონაწერი.

15 სექტემბერი 1919 წელი.

1.

**დადგენილება მთავარ შტაბის მუშაობის შესახებ.**

ყრილობა მოხსენებაზე იღებს შემდეგ რეზოლუციას: „ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ვალიკო ჯუღელისა მთავარ შტაბის მუშაობის შესახებ, აღიარებს, რომ მთავარმა შტაბმა, მიუხედავად აუტონელ პირობებისა, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა, თავისი ენერგიით და თავდადებული მუშაობით შესძლო დაკისრებულ მოვალეობათა პირნათლათ შესრულება და გადადის მორიგ კითხვაზედ.

2.

**საოლქო შტაბების შტატებზე.**

საოლქო შტაბებში ხუთი ჯამაგირიანი შტაბის წევრი იქნება, ხოლო უჯამაგირო არა უმეტეს ჯამაგირიანებისა.

3.

**სარაიონო შტაბების შტატებზე.**

პირველ ხარისხოვან შტაბებში იქნება ოთხი ჯამაგირიანი წევრი, დანარჩენებში სამი.

4.

**შტაბების შეერთების და გადაჯგუფების შესახებ.**

სადაც შესაძლებელი იქნება, მოხდეს შეერთება ან გადაჯგუფება შტაბებისა, რომელსაც განახორციელებს მთავარი შტაბი.

5.

**ფრონტზე ყოფნის დროს საველე შტაბის და სარდლის დამოუკიდებლობაზე.**

ფრონტზე ყოფნის დროს საველე შტაბის და სარდლის დამოუკიდებლობაზე დადგენილ იქნება: „საომარ მოქმედების დროს გვარდიის ნაწილები იმოქმედებენ თავმოყრილად ერთ რომელიმე მიმართულებით. მას ეყოლება საკუთარი სარდალი, რომელიც ექვემდებარება გვარდიის საველე შტაბს.

6.

**გვარდიელების მიღების წესის შესახებ.**

გვარდიელების მიღების წესის შესახებ მოხსენებას აკეთებს ვალიკო ჯუღელი. კამათის შემდეგ ყრილობა ადგენს: ნორმალურ პირობებში კამანდირი მისაღებ გვარდიელთა სარეკამენდაციო სიას უდგენს დასამტკიცებლად შტაბს და ამ უკანასკნელის დასტურის შემდეგ, გვარდიელები ირიცხებიან ნაწილებში; საგანგებო პირობებში ნაწილის უფროსები პირდაპირ ლებულობენ გვარდიელებს, ხოლო შტაბი ასეთებს განიხილავს, როცა ეს მისთვის შესაძლებელი იქნება.

7.

**გვარდიელების რეზერვიდან გასვლის შესახებ.**

გასვლა რეზერვიდან აკრძალულია მობილიზაციის და ფრონტის არსებობის დროს. მშვიდობიან დროს სახალხო გვარდიელს აქვს უფლება გავიდეს სახალხო გვარდიიდან, მხოლოდ საამისო განცხადება უნდა შეიტანოს საოლქო, ან სარაიონო შტაბში და მიიღოს მისი დასტური. თუ გვარდიელი გავა თავის ნებით, ის დაისჯება დისციპლინარულ წესით და სამუდამოთ გაიდევნება გვარდიიდან. მას აქვს განსაზღვრების უფლება (რეზ. მიიღო 43 ხმა, წინააღმდეგ 31, თავი შეიკავა 10).

8.

**დაავადმყოფებულ, დაჭრილ და სამსახურის დროს დაღუპულ გვარდიელებზე.**

სახალხო გვარდიელები ლაზარეთში მიიღებიან აგრეთვე თავიანთ შტაბის, ან კამანდირის საშუალებით.

სამსახურის დროს დაღუპულ გვარდიელების ჭირისუფლებს ეძლევათ ერთდროული დახმარება 1.000 მან. მთავარ შტაბს დაევალა მიიღოს ყოველგვარი ზომები პენსიის საკითხის საჩქაროთ გადასაჭრელად. გამოითქვა სურვილი, უფასოთ მიეცეს სწავლა გვარდიელების ობლებს.

9.

**ოფიცერთა და დაქირავებულ მოსამსახურე პირთა უფლება - ჯამაგირის შესახებ.**

გვარდიის ოფიცრები და სხვა დაქირავებული მოსამსახურენი უფლებით და ჯამაგირით უტოლდებოდეს სამხედრო უწყების მოსამსახურეებს თანამდებობის მიხედვით.

10.


**„პაიოკის“ შესახებ.**

ა) „პაიოკი“ მიეცემა ჯამაგირიან შტაბის წევრებს, ბ) უჯამაგირო შტაბის წევრებს, იმ დღეების, როდესაც ისინი შტაბის განკარგულებაში იქნებიან. აგრეთვე გამოითქვა საერთო სურვილი, რომ „პაიოკი“ შტაბის ყველა მოსამსახურეებს ეძლეოდეს.

11.

**გვარდიაში კულტურულ მუშაობაზე.**

სახალხო გვარდია შეკავშირებული დემოკრატიისა. შეიარაღებული ხელით იცავს რა დემოკრატიის და რესპუბლიკის ინტერესებს, იგი არ უნდა გადაიქცეს სახელმწიფოსათვის მილიტარულ ტვირთათ. ამისათვის გვარდია ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თავის ნივთიერ და კულტურულ ძალებს და მათ გამოაყენებას. ამ მიზნით პირველი ყრილობა წინადადებას იძლევა მიქცეულ იქმნას სერიოზული ყურადღება საკუთარ სამუშაოთა და კულტურულ შემოქმედებათა განვითარებაზე. მაგრამ იღებს რა რესპუბლიკის მძიმე მდგომარეობას სახეში, ყრილობა სახალხო გვარდიისა ადგენს: შემოდებულ იქმნას პროგრესული გამოირიცხვა ყველა ჯამაგირებიდან, რომელსაც იღებენ სახალხო გვარდიაში მოსამსახურენი, როგორც ომის, სიე მშვიდობიანო-



ბის დროს. ეს ფონდი მოხმარებულ იქნას მხოლოდ კულტურულ სამეურნო მიზნისათვის. ჯამაგირებიდან გაღებულ იქნას შემდეგი პროცენტები:

ვინც იღებს ათას მანეთამდის 1 პროცენტი,

„ „ მეტს ..... 2 „

გადასახადები გავრცელდეს აგრეთვე გვარდიაში დაქირავებულ მოსამსახურეებზეც.

12.

გვარდიის დროშის შესახებ.

გვარდიის დროშის შესახებ დადგენილ იქნა: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა სახალხო გვარდიის დროშათ ამტკიცებს რევოლუციის წითელ დროშას.

13.

გვარდიაში საქმის წარმოების ნაციონალიზაციის შესახებ.

სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა წინადადებას აძლევს მთავარ შტაბს ყველა დარგებში თან და თან გადავიდეს საქმის ქართულად წარმოებაზე.

14.

ხულიგანურ და ავაზაკურ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

მიიღოს მხურვალე მონაწილეობა იმ ანარქისტულ და ხულიგანურ ავაზაკურ გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც აქ უკანასკნელ ხანებში აქვს ადგილი, როგორც თვით ქალაქ თფილისში და მის მიდამოებში, ისე რესპუბლიკის სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით რკინის

გზის გასწვრივ, რასაც მოსალოდნელია მოჰყვეს რესპუბლიკის ისედაც უკანონო ვან საერთაშორისო მდგომარეობის ვართულება და გამწვავება. ამისათვის ყრილობა წინადადებას აძლევს მთავარ შტაბს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ერობებთან შეთანხმებით გამოიმუშაოს ის ზომები და ღონისძიებანი, რომელიც საშუალებას მისცემს გვარდიას ადმინისტრაციასთან კონტაქტში შეებრძოლოს ამ ბოროტმოქმედებათა და გამოსვლების, საბოლოოთ აღმოფხვრას ის და რესპუბლიკის ცხოვრების მიმდინარეობა ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს. ეს შეთანხმებით შემუშავებული ზომები გაეგზავნოს საოლქო და სარაიონო შტაბებს სახელმძღვანელოთ.

ჯარისკაცების და გვარდიელების წერილები.

წერილი ფრონტიდან

ზამთარია...  
ფრონტზე ვიმყოფებით...  
ახალგაზრდა ჯარი და სახალხო გვარდია ყინულიან მთებში სდარაჯობენ სამშობლოს...  
ჩვენს ქვეყანას ზამთრის ღრუბლები დახვევიან თავს... ცივი ქარი დასისინებს...  
ჩვენ გვწამს ეს ცივი ზამთარი გვიღოს... ღრუბლები განიფანტებიან...  
გაზაფხული მოვა, აყვავდება ჩვენი სამშობლო...  
მოქალაქენო!  
არ დაგვივიწყოთ, არ დაივიწყოთ ჯარისკაცები და გვარდიელები...  
კეთილი გულით, თანაგრძნობით და დახმარებით მოიხადეთ ვალი...  
მოქალაქენო, ჩვენ გვჭირია ძლიერი ზურგი... გასწირეთ ამისათვის ყველაფერი...  
სამშობლო და თავისუფლება უფრო ტკბილია ცოლზე და შვილზე...  
ჩვენი ხალხი მამაცია, უნდა იცოდეთ: ჯარი და გვარდია ხმალ ამოღებულა...  
სამშობლოს და თავისუფლების წიქვლი დროშა უჭერიათ ხელში...  
გიორგი ამბობდა: „გულის სატრფოს გავეწირავ“! და მან ორი კვირის ჯვარ დაწერილი ცოლი გასწირა სამშობლოსათვის...  
ალავერდის ხანთან, სპარსეთის ფაშებთან...  
ჩვენ გავწირავთ ყველაფერს...  
ჩვენი დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის დავიხორციელებთ...

ჩვენ არ ვიცით, რათ გვესხმიან თავს...  
სხვისი არაფერი გვმართებს... მაგრამ ჩვენიც არავის მიეცემა...  
გუთანი, ოჯახი, გრდემლი გაჩერებულია... თოფი გვიჭერია ხელში...  
ასეთ უსამართლობას გიხვევენ თავს... რაზედ?... რისთვის?..  
ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ მტერი... არ შეგვიძლია მონობის უღელი დავიდგათ...  
ჩვენს ხელში იარაღია, წითელი დროშა...  
თქვენ, მოქალაქენო; დაგვეხმარეთ ჩვენ...  
ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სისხლით მოვრწყოთ ჩვენი ქალები...  
მტერიც ვერ დაგვძლევს..

ტატო შუშიაშვილი

ჯარის კაცის წერილები

II.

ამხანაგებო: გვარდიელებო და ჯ. კაცებო! თქვენ ორივე ღირსეული შვილები ხართ საქართველოს დემოკრატიისა. თქვენი იმედით არსებობს მუშათა ხალხის ბედი. დღეს, 25 და 26 დეკემბერს, თქვენი დღეა. ჩვენც ვცდილობთ მოგაწოდოთ ის საჩუქარი, რომელიც თქვენთვის საჭიროა. ჩემო ძვირფასო ძმებო: ერთო და მეორე, თქვენი იმედით ვამაყობთ ჩვენ. დღეს როგორც გარედან ისე შიგნიდან ბაცაცობენ მტრები, რომლებიც ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, რომ ანარქია ჩამოაგდონ ჩვენში. ეს ვაჟბატონები—რომლებიც არიან და ვინც არიან თქვენ კარგათ იციან. ეს ვაჟბატონები ბევრი ეგება მახეში, რომლებსაც შესაფერ ალაგს აძლევენ.  
ამაზედ დაიმედებული იყავით, ძმებო, რომ შიგნიდან ციხე არ გატყდება არადროს. მხოლოდ გარედან საჭიროა თქვენი მამაცობა,

როგორც ჩვეულებარტ, თუ რომ რაიმე მოხდეს. ეს იმედი იქნება შიგნით მყოფ თქვენი ამხანაგებისა და მთელი მასისა, რომელიც მისცემს მათ სიცოცხლეს შეღავათს ამ გაჭირების ხანაში. მთელი სადარაჯო ათასეულის მე-4-ე ასეულის ჯ. კაცების სახელით გიძღვნით ამხანაგურ სალამს-და აგრეთვე გიგზავნით შეძლების და გვარად საჩუქარს თამბაქოს, ქალაქს და ასანთს. იმედი მაქვს, რომ ამ მცირე საჩუქარს აუცილებლად მოგაწვდინან. თვითეული თქვენგანი აუცილებლად მიიღებს, და სულ ყველა ძმურათ გაიყოფთ.  
გისურვებთ ყოველგან ყოველთვის გამარჯვებას და ოჯახში უკლებლად დაბრუნებას. ჯ.-კაცი სადარაჯო ათასეულისა ვალიკო ნიკოლაიშვილი.

გვარდიელის წერილი ჯარისკაცისადმი.

ძე. ამხანაგო ჯარისკაცო! ბევრჯერ გვქონია ჩვენ ერთათ ბაასი ჩვენს, ე. ი. გვარდიის და ჯარისკაცებს-ს ცხოვრება მდგომარეობაზე. თქვენ მუდამ მისაყვედურებდით, რომ ჩვენ, გვარდიელები, უკეთეს პირობებში ვართ, ვინემ თქვენ, ჯარისკაცები.  
თქვენი საყვედური პროვოკატორების ზეგავლენით ხდებოდა. ისე კი, ჩვენ და თქვენ, ჯარისკაცები, ერთნაირ პირობებში ვიყავით და ვართ, განსხვავება ჩვენსა და თქვენს შორის არის მხოლოდ ის, რომ ჩვენ, გვარდიელები, ვართ თავისუფალი მეომრები. იარაღი ჩვენი სურვილით გვაქვს აღებული ხელში. ჩვენ სამხედრო ბეგარა უკვე მოგვიხდია და ამის შემდეგ ვართ ჩაწერილები გვარდიაში.  
როცა გვარდიაში ჩავეწერთ, იმ დროს სამშო ბლოს არ ყავდა მუდმივი ჯარი. მაშინ ჩვენს სამშობლოს და მოპოვებულ თავისუფლებას ყოველი მხრიდან საფრთხე მოელოდა. საჭირო იყო საზღვრების და-

ცვა, რომ გარეშე მტერს ჩვენი საზღვრები არ გადმოვლახათ, არ შემოჭრილიყვენ სამშობლოში და მით ცეცხლსა და მახვალს არ მისცემოდნ ჩვენი ქვეყანა და არ გაეცანდნ გურები ჩვენი თავისუფლება.

მას შემდეგ ჩვენ, გვარდიელებს, ხშირათ გვიხდებოდა ფრონტებზე წასვლა და ქარხნების მიტოვება.

სანამ მუდმივი ჯარი შედგებოდა, მარტო გვიხდებოდა ბრძოლა მტრებთან და ბევრი ვაი-ვაგლახი გადავვიტანია.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მტერი გვყავს.

და არ გვინდა, რომ მტერს კარი გაუღოთ და ხელმეორეთ ბორკილები დავიდოთ ხელფეხზე. ამიტომაც არის, რომ ჩვენ, გვარდიელები, სურვილით გამოვდივართ, ვიცავთ ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს დემოკრატიულ სამშობლოს და მთავრობას, რომელიც ჩვენივე სურვილითაა არჩეული და რომელსაც ჩვენ გულითა და სულით ვენდობით, რადგანაც ვიცით და დარწმუნებული ვართ, რომ ის ჩვენს ხალხს არას დროს არ უღალატებს.

ავილოთ, მაგალითად, სომხებთან ომი და ადერბეიჯანთან. ვანა იქ ჩვენ, გვარდიელები, თქვენთან, ჯარისკაცებთან, ერთათ არ ვიბრძოდით და თქვენთან ერთათ არ ვღვრიდით სისხლს?!

ვანა ჩვენმა, ე. ი. გვარდიის და ჯარისკაცების, შეერთებულმა ძალამ არ მოგვაშორა თავიდან შეუბრალებელი მტერი?..

დღეს ბევრი მაწანწალეები დაძრწიან ჩვენს სამშობლოში. მათი მიზანია ჩვენი ქვეყნის დანგრევა.

ამხანაგო ჯარისკაცი! რისთვის მოიწვევენ ჩვენსკენ ბოლშევიკები?—გვეუბნებიან: კარგი წესწყობილება ვერა გაქვთო,—და გვანხევენ თავს თავისს, ვითომდა უკეთესს, წესწყობილებას. ერთი ეს მითხარი, ამხანაგო: მე რომ შენ დაგატანო ძალა, გინდა თუ არა, შენი ოჯახი ჩემს გემოვნებაზე მოაწყვე მეთქი და შენ კი ჩემი არ მოგწონდეს, რას იტყვი და რას იზამ? მე რომ მკითხო, ჩემი ოჯახის საქმე მე ვიცი და სხვას თავის დღეში ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ ჩემი ოჯახი სხვამ თავის გემოვნებაზე მოაწყოს...

მე როგორც მინდა ისე მოვაწყობ ჩემს ოჯახურ ცხოვრებას, ეს ჩემი კერძო საქმეა და ამაში არავის უფლება არა აქვს, რომ შეგ ჩამოერიოს და ძალით მომახვიოს ის, რაც ჩემს სურვილებს ეწინააღმდეგება. და აი, ასეა ბოლშევიკების საქმეც. ისინი ძალით ერევიან სხვის შინაურ საქმეში. მაშ რაზე მოდიან ჩვენსკენ, რა უნდათ? აშკარაა, რომ მათ ჩვენთვის კარგი არაფერი მოაქვთ. თუ მათ უკეთესი მოწყობა იციან ოჯახისა, ჯერ თავიანთი კერძო ოჯახი (სახელმწიფო) მოაწყონ იქ, რუსეთში, და მერე, თუ ჩვენ დავინახავთ, რომ იქ ჩვენზე უკეთესი წესწყობილებაა შემოღებული და უკეთესათაა მოწყობილი სახელმწიფო, ანუ მათი ოჯახი, მაშინ ჩვენ თვითონ შეიძლება მივბაძოთ მათ მაგალითს და გადმოვიტანოთ ჩვენს ქვეყანაში.

მაშ ასე, ამხანაგო!

ჩვენ მტკიცეთ უნდა ვიდგეთ მომხდურთა წინააღმდეგ.

გაიარა ბნელმა დრომ და ყველა იცის, როგორც ჯარისკაცის, ისე გვარდიელის მიზანი. ჩვენ ერთად გვიწევს ბრძოლა. უნდა იცოდე, ამხ. ჯარისკაციო, ჩვენია მომავალი...

სალამი თქვენ, ჯარისკაცებო!  
გაუმარჯოს ახალგაზრდა ჯარს!

სახ. გვარდიელი დ. ფ—ძე.

სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა.

უდიდეს სიამოვნებას იგრძნობს ამ სახელის გაგონებაზე ყველა ის ამხანაგები, რომლებიც საარტილერიო ბრიგადასთან ერთად ყოფილან ბრძოლის ველზე რევოლუციის გამოცხადებისას. ჩვენ არ გვქონდა სახელმწიფო, არ გვყავდა საკუთარი ჯარი. ქუთაისში და გორში მდგომი ქართული პოლკები ანგრევდნ ჩვენ ქალაქებს, ახდენდნ მაგრომებს, ეძლეოდნ სიხარულს. გუშაგნი, საუკეთესო მცველნი და თავისუფლების დარაჯნი ლევან დადიშკელიანი, ლადო კეცხოველი, მაჩაბელი და სხვები, მოგვიკლეს უსწორუ ბრძოლაში, ყოველ მხრივ თავს გვეხსმოდნ თათრები და ბოლშევიკები. იერიშები მძიმე იყო. ჩვენ მოკავშირე არავინ გვყავდა, მოლაღატე უთვალავი. გვქონდა ზარბაზნები და ბევრგან ჩვენი ამხანაგები პირუტყვს მოვალეობასაც კისრულობდნ. მძიმე ბრძოლით და მსხვერპლით მივიკაფავდით სავალ გზას. არ შევუდგები დაწვრილებით იმის აღნიშვნას, სად და ვისთან რა ომი გადავიხადეთ, ვიტყვი მხოლოდ ერთს: ყველა ფრონტებზე უშიშრად ღმუოდა და ქუხდა ჩვენი საყვარელი ზარბაზნები.)

ყველა ომი გათავდა ჩვენი გამარჯვებით და მტრების დამარცხებით. მწუხარებით ვიგონებთ სომხეთთან ომს. ვერ ვივიწყებთ იმ საშინელ და უთანასწორო თავგანწირულ ბრძოლას, რომელშიდაც მოყვა პირველი სამთო და მეორე საველე ბატარეია; მტერმა გზა გადაუჭრა მცირე ქვეითა ჩვენს ჯარს და მოიმწყვდია თავისაკენ. გაშიშვლდა ორივე ბატარეია. მოწინააღმდეგემ გაათურებული იერიში მოიტანა ზარბაზნებზე. გმირულათ დაცვა და განუტევა თავის ზარბაზანთან სული პირველი ბატარეიიდან რვა გვარდიელმა, დაიჭრა ამდენივე, მეორეს მოუკლეს ნ. დაუჭრეს თერთმეტი; მიუხედავათ იმისა რომ ბატარეია გინადგურებული იყო, მტერს მაინც არ დანებდა. საშინელ პირობებში ვიყავათ მომწყვდეულნი. აი ამ დროს ჩვენდა ბედათ ჩვენთან გაჩდა ამხანაგი ვალიკო და ქ. შარაძე მაშველა ჯარით. ღვთის წყალობა გაქვთ მტერს დღე დაადგა! ჩვენ გავიმარჯვეთ! საამაყოთ ჩვენი ერისა უნდა ითქვას შემდეგი. სარტილერიო ბრიგადამ გაამართლა დაკისრებული მოვალეობა: ომის დროს მტერი ამარცხა, პურის თესვის დროს პური თესა. განვითარებაც არ დაუვიწყა, ააშენა თ ატრი, განსნა სასწავლებელი, სამკითხველო, სახელოსნო. მოაწყო ლექციების კათხვა და სხვა, თანდათანობით შენდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჩვენ ვიბრძოლეთ და ვიბრძოლებთ უკეთე-

სისათვის, თავისუფლებისათვის, ჩვენს სამშობლოში გვინდა რა, ჩვენსას სხვას არ გვინდა.

სახალხო გვარდია—ისევე სდგას თავის სადარაჯოზე და მტრის უღელში არ გაყოფს თავს. საქართველოს მოსასპობად ბევრჯერ აღუმართავს ბარბაროსული ხმალი ალა-მაჰმად ხანის სახელმწიფოს, სათათრეთს, მონგოლებს, ლეკებს და სხვებს მაგრამ ეს ვერ შესძლეს მაშინაც კი როდესაც არავინ მეგობარი არა გვყავდა, დღეს კი უნდა იცოდეს ყველამ, რომ ჩვენსკენ იტკირება იგროპის მუშათა კლასი თავიანთი ბელადებით.

გვარდიელი სილოვან ზ—შვილი.

პალიკო ჯულელს.

ცივი ზამთრის მოლოდინში მთის არწივი ფრთებს ისწორებს. მზისკენ მედგრად იტკირება გადაყურებს მთებს და გორებს.

ქნარი ღღერის. ამაყ არწივს ფრთებში ძალა ემატება. მაშვრალთათვის დასაცველად ვუსურვოთ მას გამარჯვება.

ა. კალანდაძე

ღ ე ღ ა.

ენლა ჩემს გულს ისრათ ასევს, ჯავრა ორი საყვარელი: ერთი შვილის და მეორე სამშობლოს მთა და ველის.

ის ბედი ხომ მე არ მხვდება, რომ ორივე დარჩეს ჩემი. შვილის ნახვით და სამშობლოთ გავხდე ქალი ბედნიერი.

არა! მაგას მე არ ველი, თავს ამით არ ვაიმედებ: სამშობლოს ვერ შეველევი, და ისევე შვილს გავიმეტებ—

ღმერთო! ღმერთო! გამაგონე, მისი ომში ვაეკაცობა. მე ნუგეშათ ეს მეყოფა, ეს იქნება ჩემი ტრფობა.

უშანგი ლომინაძე.

წითელი ყვავილები.

(თეთრი ლექსი)

შუა—გულ, დედა-ქალაქისკენ მივეწურება!

ვნახავ უძლეველ ხალხის გულის წითელ ყვავილებს ოცნება კვლად სიხარულის გაინავარდებს!

გულის ტკივილებს დაივიწყებ... ფიქრი გაქრება!  
 მძებნი სიმღერის მახარებენ დიად მომავალს,  
 მარმონიული მუსიკის ხმა დაიფუგუნებს.  
 გზა სიხარულის გააშუქებს წყვილიად გულისას!  
 წარსული მრავალტანჯულ მხარის მომავონდება  
 შეგხედავ დროშებს, წავიკითხავ ზე წანაწერებს.  
 თავისუფლების სატრფიალო, სიტყვებს, ლოზუნგებს  
 და გავიხსენებ ალტკმის ქვეყნის მოახლოებას.  
 სამშობლოს გუშავთ მივულოცავ თავისუფლებას.  
 სასახლისაკენ წავალ, ქალაქს მთლად შემოვივლი.  
 დღეს მე იქ ვნახავ ხალხის გულის წითელ ყვავილებს!  
 მაშ, ვაშა მებრძოლო! მუდამ ასე, გამარჯვებული,  
 ხალხი უხდიდეს სამშობლოს გამირთ დღესასწაულებს.

**ი. ნაზარბეგიშვილი.**



არიან ესეს ძე ჭყონია

სახ. გვარდ. საარტილერიო ბრიგადის გვარდიელი გარდაიცვალა 1921 წ., 7 იანვარს, უცაბედად გასროლილი ტყვიით.

**დაკეზა ფრონტიდან.**

დამფუძნებელ კრებას. ასლი მთავრობასა და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

**ვარანცოვკა.** მარჯვენა ფრთის შემოვლის დროს გვარდიელები ფრონტზე ისევე აფრთოვანებული დაგვხვდნენ, როგორც ჯარი. ყველას დავიწყებია პირადი ცხოვრების სიღრმე და მზათაა ზეარაკათ შეეწროს ჩვენი რესპუბლიკის სამსხვერპლოს, თუნდა ათასჯერ მოუხდეს თვითეულ მათგანს ჯოჯოხეთური წამების მიღება; დავავალეს გადმოგცეთ მათი მხურვალე სალაში და ალტქმა, რომ იგიონი თავიანთი სისხლით სამარადისოთ ამო-

აღუღაბებენ საქართველოს ირგვლივ უდრეკელ ციხე-გალაფნებსდა საზღვრების არც ერთ ციდას არ დაუთმოებენ მუხანათ მტერსა. 9 იანვარი. დამფუძნებელი კრების წევრები: ვარდლიანიცი, ჩხეიძე, შვეჩუკი, კოვალისოვი.

**საკროტასტო დაკეზები.**

სახ. გვარდიის მთავარ შტაბს მოსდის დამკრების წევრის, ივ. ლორთქიფანიძის, პროვოკაციულ გამოსვლის შესახებ აუარებელი დეპეშები, რომელნიც მოთავსებული იქნება თან და თანობით.

**რედაქცია.**

**ფრონტიდან.** ფრონტზე მყოფნი სამეგრელოს პირველი ბათალიონის გვარდიელები ზიზღს უცხადებენ დამფუძნებელი კრების წევრს, ლორთქიფანიძეს, სახალხო გვარდიის შეურაცყოფისათვის. თავისი წარსულით დაბლა მდგომ ადამიანისგან დაფასება არ იყო მოსალოდნელი და არც სასურველი, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ასეთი ადამიანი უზენაესი ორგანოს წევრია.

**კრების მონდობილობით საოლქო შტაბი.**

**სამტრედია.** სამტრედიის სახალხო გვარდიის კრება ლორთქიფანიძის დამფ. კრებაში გამოსვლის გამო, რომელმაც გვარდიის ხელმძღვანელი, აზ. ვალიკო ჯუღელი, მონათლა მაუზერისტების მეთაურად და ამით შეურაცყოფა მიაყენა საქართველოს მთელ სახალხო გვარდიას. აღშფოთებას გამოსთქვამს და თავის გულის წყრომას, პროტესტს უცხადებს ბ. ლორთქიფანიძეს.

ლორთქიფანიძემ და მისმა თანამოაზრეებმა უნდა იცოდნენ, რომ სახალხო გვარდია, ეს მუშათა კლასის შეიარაღებული ძალაა, რომელიც ფხიზელი დარაჯი იყო და არის საქართველოს რესპუბლიკის და დამცველი დამფუძ. კრების.

**კრების თავმ. მელაძე.**

**ფრონტიდან.** გორონცოვკის მიმართულეობით მდგომნი გვარდიელები, ღრმად აღშფოთებულნი დამფუძნებელ კრების წევ. ივანე ლორთქიფანიძის უმზგავსო გამოლაშქრებით გვარდიის და მის მეთაურის ვალიკო ჯუღელის წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ჩვენი მაუზერისტების წოდების გამო. იმ დროს, როდესაც ბახობდალის და ყარაღაჯის უღელ ტეხილებზე რესპუბლიკის დასაცველად ვიმყოფებით ივანე ლორთქიფანიძეს ჩვენი მაუზერისტებათ მონათვლის ნებას არ მივსცემთ. საქართველოს ხალხმა და დამფ. კრებამ პასუხი უნდა მოსთხოვოს მის შავრანშულ გამოსვლას. ჩვენ კი ჩვენს შრომას და თავგანწირვას ქვეყნის დაცვის საქმეში განვაგრძობთ და მაგისტანა ვაუბატონების პროვოკაციას არ ავყვებით.

გვარდიის ყველა ნაწილების წარმომადგენელთა კრების პრეზიდიუმი.

**ხაშური.** სახალხო გვარდიის მეორე ქართლის ბათალიონი უცხადებს თავის აღშფოთებას და სასტიკ პროტესტს სოციალისტ-რევო-

ლიუცენერს ივ. ლორთქიფანიძეს დამფუძნებელ კრებაში სახალხო გვარდიის და მისი ხელმძღვანელის, ამხანაგ ვალიკო ჯუღელის, მაუზერისტებათ მონათვლის გამო ხაშურის გვარდია აცხადებს ჩვენი ქვეყნის მტრების საყურადღებოთ, რომ გვარდიას არავითარი საერთო არა აქვს იმ მაუზერისტებთან, რომლებიც უხეში ძალის შემწეობით ცდილობენ თავის ნებასურვლი მოახვიონ თავზედ მთელ მშრომელ ხალხს:

**თავმჯდომარე ნიკო სიხარულიძე**

**ქუთაისი.** ჩვენ, სახალხო გვარდიის ქუთაისის საოლქო შტაბის სადარაჯო გუნდის გვარდიელებმა, წავიკითხეთ რა ესერთა ფრაქციის წევრის პროვოკაციული გამოსვლა დამფუძნებელ კრებაში ჩვენი ბელადის, ამხანაგ ვალიკო ჯუღელის, უდიერათ ხსენების შესახებ, რითაც მან შეურაცყო არა კერძოთ ჩვენი ვალიკო, არამედ მასში განსახიერებული სამშობლოსათვის და რევოლიუციისათვის თავდადებული სახალხო გვარდია. ვუცხადებთ ჩვენს სასტიკ გაკიცხვას და გულის წყრომას ივანე ლორთქიფანიძეს და მთელ ფრაქციას, რომელმაც არ დაგმო სამარცხვინო გამოსვლა. ყველას საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ასეთი მოლაღატური გამოსვლით ჩვენ ვერავინ ხელს ვერ აგვადებინებს რევოლიუციის და სამშობლოს დაცვაზე. ჩვენ ღრმად გვაქვს შეთვისებული იარაღის მნიშვნელობა და ვიცით ადგილი მისი მოხმარისა. სალაში ამხანაგ ვალიკოს. გვარდიელების მონდობილოგით.

**ტ. გვარამია.**

**ტფილისი.** 25 დეკემბერს, მოხდა თფილისის სახ. გვარდიის მუდმივ ნაწილების და რაიონების კულ.-განმ. სექციების შეერთებული კრება, რომელმაც პირველადვე თავის აღშფოთება გამოსთქვა დამფ. კრებაში დეპ. ლორთქიფანიძის შავრანშულ გამოსვლის გამო, რომელმაც გვარდიის ხელმძღვანელს, აზ. ვ. ჯუღელს, უწოდა მაუზერისტების მეთაური და ამ მხრით შეურაცყო მთელი სახალხო გვარდია.

კრება თავის პროტესტს უცხადებს ლორთქიფანიძეს, და მის პროვოკაციულ გამოსვლას ღირსერლად დააფასებს თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს მშრომელი ხალხი.

**კრების მდივანი აკ. კალანდარაშვილი.**

**სუხუმი.** სუხუმის ოლქის სახ. გვარდიის მეორე ყრილობამ აღშფოთებით მოისმინა ცნობა სოც.-რევ. დეპ. ივ. ლორთქიფანიძის გამოსვლის გამო.

ხალხის მიერ გარიყულნი, გზა აზნეულნი და ხელის შემშლელნი სოც.-რ.თა პარტიის უჯარო ბელადები თავიანთ გასვრილი ხელით ტალახს ესვრიან ჩვენს წითელ დროშას. სოც.-რევ. პარტიამ იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ალყა შემოარტყმულია, მიზნათ დაისახა ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა და მტრების დახმარება. საქარ. ხალხი არას დროს არ დაივიწყებს ამ მძიმე კრიტიკულ მომენტში სოც.-რევ.ების ასეთ პროვოკაციულ გამოსვლას.

ჩვენ გვსწამს ბრძოლაში გავიმარჯვებთ, და ვაი მას, ვინც ეხლა ზურგიდან დალატს აწყობს.

ძირს პროვოკატორები! გაუშარჯოს სახალხო გვარდიას!

სალაში ვალიკოს.

კონფერენციის მონდობილობით გვარდიელები კოკაია, მასხარაშვილი, შონია, ჯაში, იკუღია.

ე ა რ ა ი ა ზ შ ი .



გვარდიელები თესვენ.

სახალხო გვარდიის მთავარი უბანი.

**აზიგახარალი.** ყველა გვარდიის ნაწილები ჯგუფისა სალამს უძღვნიან მთავარ შტაბს და სიტყვას აძლევენ, რომ გაამართლებენ ახალწელში მის იმედს და ნდობას. **ჯიჯიხია.**

**აზიგახარალი.** ცხენოსანი პოლკი უძღვნის სალამს თავის მთავარ შტაბს და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას მომავალ წელში. **ხიმშიაშვილი.**

**ტფილისი.** ტფილისის მაზრის ერობა ულოცავს სახელოვან სახალხო გვარდიას ახალწელს და გამოსთქვამს იმედს, რომ სახალხო გვარდია მომავალშიც გმირულად დაიცავს საშობლოს და რევოლუციას, თავმჯდ. **ქარცივაძე.**

**ტფილისი.** ჩემდამი რწმუნებულ ნაწილის სახელით გილოცავთ ახალწელს და ვისურვებთ ბედნიერებას და გამარჯვებას ჩვენი რესპუბლიკის და მისი დემოკრატიის საბედნიეროთ. გაძლევთ სიტყვას, რომ ჩვენ, როგორც აქამდის, ისე მოპავალში, თქვენთან ერთად ვიქნებით ჩვენი ერისთვის საბედისწერო მუშაობაში გენერალი **შაქარიაძე.**

**ბათუმი.** მეცხრე ასპინძის ათასეულის ოფიცრები და ჯარის კაცები წრფელი გულით მოგილოცავთ ახალწელს თქვენ და სახალხო გვარდიას. ვისურვებთ არ მოკლებოდეს საშობლოს თქვენი ენერგიული და უდიდესი ღვაწლი, ღირსეულო მცველებო თავისუფლებისა და საშობლოს კეთილდღეობისა

პოლკ. **ვაჩნაძე.**

**სოხუმი.** სოხუმის პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭო მხურვალეთ ულოცავს ახალწელს სახელოვან სახალხო გვარდიას. საბჭო დარწმუნებულია, რომ გვარდიის უშრეტი გმირული ხელი ბოლომდის აიტანს მძიმე განსაცდელს და სახელოვანად მიიყვანს საშობლოს დემოკრატიას მის საბოლოო მიზნამდე. ჩვენც თქვენთან ვართ. **პრეზიდენტი.**

**სანდარა.** გილოცავთ ახალ წელს და ვისურვებთ რომ მომავალ წელსაც ჩვენ სახელოვან გვარდიას თქვენის მეთაურობით კვლავინდებურად ევლოს გამარჯვების გზით და ძირს არ დაეხაროს წითელი დროშა, სიმბოლო სპერთაშორისო მშვიდობიანობისა და მშრომელი ხალხის თავისუფლებისა. ვისურვებთ, რომ ჩვენი დესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განმტკიცებისათვის მომავალ წელს შეექმნას ისეთი პირობები, რომელთა მეოხებითაც გაორკეცებულს ენერგიით შეგვეწყოს ხელი გვარდიის სამეურნეო და საღმრთებლო მიზნების განხორციელებისათვის, რაიც სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს ჩვენს დაუძინებელ მტერს. მარნეულის კომუნდატი **კერესელიძე.**

**ბათუმი.** გილოცავთ ახალ წელსა, ვისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

კაპიტანი **ბოლქვაძე.**

მე და მუდმივ ბინაზე დარჩენილი ბატონი ოფიცრები და ჯარისკაცები გილოცავთ ახალწელიწადს. ვისურვებთ ენერგიას და ჯანმრთელობას, რათა რესპუბლიკის მამაცი მხედრობის სახელი კვლავინდებურათ თავზარს სცემდეს მუხანათ მტრებს და სიამეს გვრიდეს მოყვარეს.

მაიორი **ჯანდიერი.**

**ტფილისი.** მთელი ათასეულის შემადგენლობით გილოცავთ ახალ წელს.

პოლკ. **გეგელაშვილი.**

**ტფილისი.** მე და მთელი სანაპირო ჯარი გილოცავთ ახალ წელს.

გენერალი **ახმეტელაშვილი.**

საგანგებო ბათალიონი.

8 იანვარს საგანგებო ბათალიონის და საინჟინერო გუნდის მიერ აგებულ კაუტუკის სახელობის თეატრში გაიმართა საღამო. საღამო ისიდორე რამიშვილის მოხსენებით დაიწყო მომხსენებელმა აღნიშნა როლი და მნიშვნელობა სახალხო გვარდიისა საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის, გაიხსენა შავი წარსული დღეს თავისუფალი მშრომელი ხალხისა, და მისი როლი მომავალში. ისიდორე რამიშვილის მოხსენების დროს დარბაზში შემოვიდა კარლო ჩხეიძე, რომელსაც მთელი დარბაზი ტაშის ცემით შეეგება. შემდეგ წარმოდგენილ იქნა ნ. გერგესელის პიესა გვარდიელების ცხოვრებიდან: „ძმები“. შემდეგ წარმოდგენილ იქნა „სოფლის ფერშალი“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო თვით ავტორმა. ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

პ. ს.

გამომცემელი — სახ. გვ. მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელი სექცია.